ასლად შექმნილ მეცნიერებათა აკადემიის საგარეო — ეკონომიკური ასოციაცია ხელს უწყობს უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან და ფირმებთან ურთიერთობების ახალი ფორმებისა და სტრუქტურების შექმნას, სამეცნიერო პოტენციალისა და მეცნიერულ-ტექნიკური ბაზის შემდგომ ამოღებას.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა სპეციალურად განიხილა სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების საკითხი და მიიჩნია, რომ სახელმწიფო მმართველობის საბჭოთა სისტემის უაღრესად ცენტრალიზაციის პირობებში სამეცნიერო ატესტაციის არსებული სისტემა და პრაქტიკა არ შეესაბამება საქართველოს დამოუკიდებლობის თანამედროვე მოთხოვნილებებს.

პრეზიდიუმმა მიიჩნია, რომ მეცნიერთა ატესტაციის საკითხები უნდა წყდებოდეს საქართველოში.

როგორც ცნობილია, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიიწონა აკადემიის პრეზიდიუმის და უმაღლესი განათლების სამინისტროს ეს გადაწყვეტილება და მიიღო შესაბამისი დადგენილება.

სახელმწიფო სამეცნიერო საატესტაციო დებულების შესამუშავებლად პრეზიდიუმმა გამოჰყო კომისია აკად. გ. სანაძის ხელმძღვანელობით, რომელიც უახლოეს ხანს წარმოგვიდგენს თავის წინადადებებს განსახილველად.

ბატონებო!

საქართველოს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით დღეს მეცნიერებათა აკადემიაში და საერთოდ, ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარეობს დაინტერესებული მსჯელობა მეცნიერებისა და მეცნიერებათა აკადემიის როლზე ჩვენს საზოგადოებაში. გამოთქმული აზრები მრავალნაირია, ხშირად დიამეტრალურად საწინააღმდეგო.

მეცნიერებათა აკადემიაში თითქმის ერთი წელია სხვადასხვა დონის შეკრებებზე მიმდინარეობს მსჯელობა აკადემიური მეცნიერების განვითარების კონცეფციის შექმნის აუცილებლობის შესახებ. თავის მხრივ საქართველოს მეცნიერების განვითარების კონცეფციის შედგენა ბუნებრივად უკავშირდება საქართველოს ეკონომიკის მეცნიერებათა ტევადი დარგების განვითარებას.

დღეისათვის აკადემიაში შექმნილია ორი დამოუკიდებელი ჯგუფი, რომლებიც მუშაობენ აკადემიური მეცნიერების განვითარებისა და საქართველოს დამოუკიდებლობის კონცეფციის ალტერნატიული ვარიანტების შედგენაზე. ერთი საკმაოდ დიდი ჯგუფის მუშაობის შედეგებს შეაჯამებს ეკონომიკის ინსტიტუტი. ამ ჯგუფში მონაწილეობენ აკადემიის ყველა განყოფილების მეცნიერები. მეორე ჯგუფის მუშაობა მიმდინარეობს ფილოსოფიის ინსტიტუტის ბაზაზე. ორივე ჯგუფი თავისი მუშაობის შედეგებს წარმოგვიდგენს საბოლოო განხილვისათვის. ეს შედეგები ფართო მსჯელობის საგნად უნდა გავხადოთ, რათა გამოვიმუშაოთ კოლექტიური აზრი ქართული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და მისი მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის შესახებ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ლ. ბაბუნიას საანბარიზო მოხსენება

როგორც ითქვა, შარშანდელი წელი მძიმე განცდებისა და დაძაბული შრომის, გამძლეობის გამოცდის წელი იყო. თუ რა გაკეთდა საყურადღებო სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის, კადრებთან მუშაობისა ან საერთაშორისო სამეცნიერო კავშირების დამყარების დარგში, საკმაოდ დაწვრილებით არის მოთხრობილი ჩვენს ვრცელ ანგარიშში, რომელიც თავის დროზე გადაეცა როგორც აკადემიის წევრებს, ისე ყველა აკადემიურ დაწესებულებას. ამიტომ აქ აღარ გავაგრძელებ სიტყვას ყოველივე იმაზე, რაც ამ ანგარიშშია მოცემული. გამოვყოფ მხოლოდ ზოგიერთ საკვანძო საკითხს და განვლილი ეტაპისათვის დამახასიათებელ ცალკეულ ფაქტებს.

მიუხედავად იმისა, რომ საგრძნობლად დაგვერღვა შარშან სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის რიტმი, მაინც ბევრი მნიშვნელოვანი გამოკვლევა შესრულდა; მკაფიოდ გამოვლინდა აკადემიის დაწესებულებათა დიდი წვლილი ფუნდამენტური კვლევის რესპუბლიკური და საკავშირო პროგრამების დამუშავებაში და, რაც მთავარია, კიდევ უფრო მკვეთრად გამოიკვეთა აკადემიის როლი საქართველოს ეროვნული პრობლემების გადაწყვეტაში.

აკადემია რომ შარშან აქტიურად იყო ჩაბმული საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დასტურდება იმ საკითხების თუნდაც უბრალო ჩამოთვლით, რომელთაც პრეზიდიუმის 1989 წლის სხდომები მიეძღვნა. მე მაინც შეგახსენებთ ცალკეულ საკითხებს და თავს უფლებას მიცემ მზოგიერთ მათგანზე შევაჩერო თქვენი ყურადღება.

სულ შედგა პრეზიდიუმის 29 სხდომა, რომელთაგან 19-ს ესწრებოდნენ აკადემიის დაწესებულებათა დირექტორები.

1989 წლის პირველივე, 12 იანვრის სხდომა, მიეძღვნა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებს, როგორცაა საქართველოს მეურნეობრივ ანგარიშობაზე გადასვლა და ბიოსფერული და ეკოლოგიური კვლევის კომისიის შექმნა. პირველი პრობლემის განხილვას ლოგიკურად მოჰყვა რესპუბლიკის ეკონომიკური დამოუკიდებლობის საკითხის დასმა. ამასთან დაკავშირებით ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტს დაევალა შესაბამისი მიმართულებებით წარმოებული კვლევა-ძიების გაძლიერება და დაჩქარება. ამავე სხდომაზე შეიქმნა ეკოლოგიური კვლევის კომისია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა აკადემიის პრეზიდენტი, ბატონი ა. თავხელიძე. დიდი სამუშაო დაიგეგმა: ჩამოყალიბდა უმთავრესი ბლოკები და თითოეულ მათგანს საკუთარი კონცეფციის შემუშავება დაეკისრა. წინასწარ ვიტყვი, რომ ეს სამუშაო უკვე შესრულდა და მის შედეგებს ჩვენ შეიძლება კიდევ დავებრუნდეთ.

27 მარტს პრეზიდენტი განიხილა აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში შექმნილი პოლიტიკური ვითარება და ზოგი საყურადღებო გადაწყვეტილება მიიღო. კერძოდ, ჩამოაყალიბა ჯგუფი, რომელსაც დაევალა ამ ვითარების ყოველმხრივი გაანალიზება და სათანადოდ დასაბუთებული ვრცელი დოკუმენტის შემუშავება. მოგვხსენებთ, ასეთი დოკუმენტი შეიქმნა და კიდევ გამოქვეყნდა. ამ სხდომამ გადაწყვიტა აგრეთვე, ხელი შეუწყოს ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის ისტორიის აქტუალური საკითხების ერთობლივ კვლევას.

6 აპრილის სხდომა მილიანად მიეძღვნა სეისმოლოგიისა და სეისმომედვი მშენებლობის თანამედროვე პრობლემებს. დაისახა რესპუბლიკისათვის ამ უაღრესად მნიშვნელოვან დარგში შემდგომი ინტენსიური და ჩაღრმავებული კვლევის გეგმა.

12 აპრილს პრეზიდენტი თბილისში 9 აპრილის მშვიდობიანი მიტინგის ბარბაროსულ დარბევასთან დაკავშირებით მიიღო ცნობილი მიმართვა საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდენტისადმი. ვფიქრობ, ეს მიმართვა არ მოითხოვს დამატებით კომენტარს: ეს იყო პირველი ოფიციალური წერილი, რომელშიც იმდროინდელ მთავრობას არსებითად უნდობლობა გამოეცხადა და გამოითქვა მოთხოვნა 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამოძიებელი კომისიის შექმნის შესახებ. ცნობილია, რომ ამ კომისიამ, რომლის ძირითად ბირთვს აკადემიის წამყვანი მეცნიერები შეადგენდნენ, შედარებით მოკლე დროში უდიდესი სამუშაო შეასრულა და შექმნა ვრცელი დოკუმენტი, ურომლისოდაც, ჩემი ღრმა რწმენით, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ანალოგიური კომისიის, ე. წ. სობჩაკის კომისიის დასკვნა დღემდე ვერ იქნებოდა დასრულებული და შეიძლება შინაარსითაც სხვაგვარი ყოფილიყო. ამავე დროს მეცნიერებათა აკადემიის აღნიშნული მიმართვა დაეგზავნა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის წევრებსა და მრჩეველებს და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების პრეზიდენტებს. ვარდა ამისა, იმავე პირებს დამატებით, უფრო დაწვრილებით ეცნობათ 9 აპრილის მიტინგის არაადამიანური სისასტიკით დარბევის დეტალების შესახებ.

აქ უთუოდ არ იქნება ზედმეტი გავიხსენოთ, აგრეთვე, თუ რა მძიმე ვითარებაში უხდებოდათ ამ საკითხთან დაკავშირებით გამოხველა საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატთა პირველ ყრილობაზე აკადემიის წარგზავნილებს, აკადემიის წევრებს.

18 მაისს პრეზიდენტი მიმართა რესპუბლიკის პროკურორს თხოვნით არაფორმალურ გავრთიანებათა მეთაურების პატიმრობიდან განთავისუფლების შესახებ.

პრეზიდენტის 22 მაისის სხდომა მიეძღვნა ეროვნებათაშორის ურთიერთო-

ბათა საკითხებს და ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევის გაძლიერების აუცილებლობას. ამ საკითხების უაღრესად დიდი აქტუალობა და მნიშვნელობა, რა თქმა უნდა არ იწვევს ეჭვს, მითუმეტეს არსებულ ვითარებაში, როდესაც ქართველ ერს ათასგვარ ცილს სწამებენ, ყოველი მხრიდან უტევენ და ყოველ მხრივ ცდილობენ როგორმე ხელოვნურად გააწვევონ საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობა. ჩვენი ერის დისკრედიტაციის ამ ბნელ საქმეში რომ მეცნიერებებიც არიან ჩართულნი, ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის ვ. პაშკოვის მიერ ცოტა ხნის წინათ გამოქვეყნებულ წიგნში მონიშნულია საქართველოში ეროვნებათშორისი ურთიერთობის გამწვავების მოსალოდნელი კერები და, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაგეგმილია ჯერ არარსებული კონფლიქტების აღმოცენების გეგმა. სხვათაშორის სულ ანლახან თბილისში ჩამოსულა ამ ინსტიტუტის რამდენიმე მეცნიერი თანამშრომელი, რომელთაგან ერთი საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა გუნება-განწყობილების გამოსაკვლევად ყოფილა მოვლენილი, ხოლო სხვები — აფხაზების, ოსებისა და რუსების. ბუნებრივია, რომ მეცნიერებს მეცნიერებმავე უნდა გასცენ პასუხი და რაც უფრო დროული და მეცნიერულად გამართული იქნება ეს პასუხი, მით უფრო სწრაფად მოყვება მას სასიკეთო შედეგი. სიტყვამ მოიტანა და ჩვეს მწერლებსა და ლიტერატორებსაც მართებთ სწრაფი და სათანადო რეაგირება რუსულ და უცხოურ პრესაში გაბნეულ ანტიქართულ გამოხტომებზე. მითუმეტეს თუ ასეთ თავდასხმათა ავტორები მსოფლიოში სახელმწიფოებრივი მწერლები არიან. ამ შემთხვევაში ვგულისხმობ ალექსანდრე სოლჟენიცინს, რომელსაც ამ ბოლო დროს ტოლსტოისა და ჩეხოვის უყენებენ გვერდში. როდესაც ის შავრაზმული ქედმაღლობით წერს აკადემიკოს ჩიქობავას „მარტივზე მარტივ პროვინციულ ახრებზე“ („простенькие провинциальные мысли Чикобава“), ეს ბოლოს და ბოლოს მისი საქმეა, მაგრამ მწერლის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქართველებს, რომლებმაც სხვადასხვა საბედისწერო ვითარებათა გამო, ვგონებ, ყველაზე მეტი სისხლის საფასური გაიღეს მეორე მსოფლიო ომში, თურმე სტალინი მობილიზაციას არიდებდა, ისეთი არგაგონილი მკრეხელობაა, რომლის წინააღმდეგ მრისხანედ უნდა აიმაღლონ ხმა ქართველმა მწერლებმა და საერთოდ ინტელიგენციის წარმომადგენლებმა.

1 ივნისს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა აღძრა შუამდგომლობა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის დღის 26 მაისის საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო დღესასწაულად გამოცხადებისა და მისი უქმე დღედ დაკანონების შესახებ.

ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა მიიღო მიმართვა სსრ კავშირის სახალხო დეპუტატების ყრილობის პრეზიდიუმისადმი გენერალ-პოლკოვნიკ ი. როდინოვის ყრილობაზე გამოსვლაში თბილისში 9 აპრილს მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებული ფაქტების აღმარსებელი დამახინჩების შესახებ.

პრეზიდიუმის 18 ივლისის სხდომა უმთავრესად აფხაზეთში მომხდარ ტრაგედიის ვარემოებათა განხილვას მიეძღვნა. ჩამოყალიბდა მოთხოვნა ამ საზარელი დანაშაულის ორგანიზატორთა გამოსაგლეწად და პასუხისგებაში მისაცემად გამოძიების ოპერატიულად ჩატარების შესახებ, რომელიც გაეგზავნა საქართველოს უმაღლეს საბჭოს. აქვე აღვნიშნავ, რომ შემდგომ პრეზიდიუმმა პროტესტი განაცხადა გამოძიების დაგვიანების გამო და განმარტების მოსაცემად აკადემიაში მოიწვია რესპუბლიკის პროკურორი და შინაგან საქმეთა მინისტრი.

24 ოქტომბერს პრეზიდენტმა იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ შემუშავებული „საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის“ პროექტზე და მიმართა მას თხოვნით, რომ ამ კონცეფციის შემდგომი დამუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის გაფართოებულ სხდომაზე მიღებული წინადადებები.

ოქტომბრის ბოლოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით შემუშავდა საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარების თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დეკლარაცია, რომელიც მან წინასწარ განიხილა პრეზიდენტის 2 ნოემბრის სხდომაზე და იმავე დღეს წარუდგინა განსახილველად აკადემიის საერთო კრებას. შემდეგ, მოგეხსენებათ, ეს დეკლარაცია გამოქვეყნდა პრესაში. ამ დოკუმენტის შექმნა შეიძლება ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯად მივიჩნიოთ.

16 ნოემბერს პრეზიდენტმა იმსჯელა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის შესახებ და მიიღო მიმართვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსადმი, რომელშიც ჩამოყალიბებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წინადადებანი სამხრეთ ოსეთში მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის. ამ საკითხს პრეზიდენტი შემდეგ კვლავ დაუბრუნდა და კიდევ ერთხელ მიმართა საქართველოს უზენაეს საბჭოს არსებული ვითარების განმუხტვისაკენ მიმართული კონკრეტული წინადადებებით.

აღარ ვეხები პრეზიდენტის ჩვეულებრივ საქმიანობას: სამეცნიერო მოხსენებათა და სხვადასხვა დარგის უახლეს მიღწევათა შესახებ ინფორმაციის მოსმენას, აკადემიის დაწესებულებათა სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საკითხების განხილვას, სამეცნიერო კადრების მომზადებასა და მრავალ სხვას. მინდა სავანგებოდ აღვნიშნო მხოლოდ, რომ პრეზიდენტის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო და რჩება ქართული ენა, მისი მრავალმხრივი კვლევისა და განვითარებისათვის ხელის შეწყობა. არც თუ ისე დიდი ხნის წინათ, პრეზიდენტის ინიციატივით, ფართოდ გაიშალა მუშაობა ქართული ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის შექმნისათვის, რისთვისაც სათანადო სახსრებიც გამოიყო და ენათმეცნიერების ინსტიტუტში შესაბამისი სტრუქტურული დანაყოფიც ჩამოყალიბდა. ამ დიდი საქმის ხელმძღვანელობა დაევალა სპეციალურ კომპეტენტურ საბჭოს აკად. ქ. ლომთათიძის ხელმძღვანელობით. ბევრი რამ გაკეთდა აგრეთვე ქართულენოვანი კომპიუტერული შრიფტების შესაქმნელად, რამაც დღეს უკვე შესაძლებელი გახადა ისეთი სამეცნიერო ინფორმაციის ბანკების რეალიზაცია, როგორცაა ტერმინოლოგიური და ფრაზეოლოგიური ლექსიკონების ბანკი, იბერიულ-კავკასიური ენების ენციკლოპედიური აღწერის ბანკი, აგრეთვე ძველი და თანამედროვე ქართული ლიტერატურის ზოგიერთი ნაწარმების სრული ტექსტების ბანკი, დემოგრაფიული ბანკი. კომპიუტერული ტექნიკა დღეს ფეხს იკიდებს აგრეთვე ჩვენს ხელოვნებათმცოდნეობაში და არქეოლოგიაში.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა აკადემიამ, მისმა ინსტიტუტებმა ქართული ენის და საქართველოს ისტორიის კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამების მომზადებაში. პირველი, მოგეხსენებათ, უფრო ადრე იყო განხილული და დამტკიცებული, ხოლო მეორე უთუოდ უმოკლეს დროში ჩადგება ქართველი ერის სამსახურში.

პრეზიდენტთან არსებული გამოთვლითი ტექნიკისა და ავტომატიზაციის სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს საქმიანობამ დიდად შეუწყო ხელი მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების გამოთვლითი ტექ-

ნიკით აღჭურვის მკვეთრად გაზარდას. შეძენილია დიდი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანა გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისათვის, 44-მდე სამუალო კლასის გამოთვლითი კომპლექსი და 200-ზე მეტი იმპორტული პერსონალური კომპიუტერი. ამის შედეგად ოპერატიული მეხსიერების საერთო მოცულობა აკადემიის სისტემაში გაიზარდა თითქმის 20-ჯერ. ამჟამად გაშლილია შეძენილი ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ათვისებოცა და სამეცნიერო კვლევაში დანერგვის ფართო სამუშაოები.

გამომთვლითი მათემატიკის ინსტიტუტისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის ბაზაზე ორგანიზებულია ინფორმაციის კურსები, რომლებზედაც ყოველწლიურად იმალღებს კვალიფიკაციას მეცნიერებათა აკადემიის 1200-ზე მეტი თანამშრომელი.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმში შეიქმნა ლოკალური გამოთვლითი ქსელი, რომელიც აერთიანებს 20-ზე მეტ პერსონალურ კომპიუტერს. ამჟამად ხდება ამ ქსელის ქვესისტემების დამუშავება. ლოკალურ ქსელში იმოქმედებს 6 საინფორმაციო-საძიებო სისტემა: სამეცნიერო-საორგანიზაციო, საგეგმო-საფინანსო, კადრების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და საკანცელარიო სისტემები. სხვათაშორის ყოველივე ამან შეიძლება საბოლოო ჯამში საგრძნობლად შეუწყოს ხელი ე. წ. ბიუროკრატიული აპარატის შეკვეცას.

როგორც უკვე ითქვა, 1989 წლის იანვარში პრეზიდიუმთან შეიქმნა ეკოლოგიური კვლევის კომისია. საქართველოს მთავრობის ავგისტოს დადგენილებით, ამ კომისიას დაევალა რესპუბლიკაში წარმოებული ყველა სამეცნიერო ეკოლოგიური კვლევის კოორდინაცია. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საანგარიშო წელს კომისიამ შეიმუშავა საქართველოს ვარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების გრძელვადიანი საბელმწიფო პროგრამა და ეკოლოგიური კვლევის რესპუბლიკური პროგრამის პროექტი XIII ხუთწლედისათვის. აქვე უნდა აღინიშნოს იუნესკოს საერთაშორისო პროგრამის — „მბა“-ის (ადამიანი და ბიოსფერო) საქართველოს ეროვნული კომიტეტის მოღვაწეობა, რომლის ყურადღების ცენტრში კვლავინდებურად რჩება საქართველოს გენოფონდის შენარჩუნება და აღდგენა, პაერისა და წყალსატევების გაჭუჭყიანების პრობლემების შესწავლა, მთიანეთის ეკოსისტემათა კვლევა და სხვ. ეკოლოგიური კვლევის ფართოდ გაშლას რომ საქართველოსათვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს, დღეს უკვე ნათელზე ნათელია. მართლაც, აღარავისთვის არის საიდუმლო ჩვენი რესპუბლიკის ლანდშაფტების დეგრადაციის საგანგაშო შემთხვევები და საერთოდ უაღრესად დაძაბული ეკოლოგიური მდგომარეობა. ბევრს ახსოვს ალბათ, გამოთქმა „რა ბედნიერია, რომ არ იცის, რა უბედურება ჭირსო“. სამწუხაროდ, ახლა ვეღარ ვიტყვით, რომ არ ვიცით, რა უბედურება გვჭირს. მაგალითისათვის შორს წასვლა არ გვინდა: ჰაერის გაჭუჭყიანების დონით თბილისი პირველ ადგილზეა საბჭოთა კავშირისა და შესაძლოა, მსოფლიოს უდიდეს ქალაქებს შორის. უკანასკნელი ცნობით, აქ დღეში ერთ ადამიანზე 586 გ მავნე ამონაბოლქვი მოდის, მაშინ როდესაც მოსკოვში იგივე მაჩვენებელი 258-ია, ლენინგრადში — მხოლოდ 203 და ა. შ., ხოლო მსოფლიოს ყველაზე გაბინძურებულ ქალაქში, მეხიკოში 1983 წლის მონაცემებით 584 გრამს არ აღემატება. ჩერნობილის აპოკალიფსურმა ავარიამ უკიდურესად გაართულა შავი ზღვის ეკოლოგიური სიტუაცია, ჩვენს თვალწინ ნადგურდება საქართველოს გენოფონდი, გახშირდა სტიქიური უბედურებანი და სხვ. ყველა ეს პრობლემა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და საფუძვლიანად ორგანიზებულ კომპლექსურ კვლევას.



მიუხედავად იმისა, რომ სრულიად გასაგები მიზეზების გამო, ეკოლოგური ექსპერტიზა ჩვენს უშუალო საქმედ არ მიგვაჩნია, მას თავს მაინც არ ვარიდებდით და საჭიროების შემთხვევაში სხვადასხვა პროექტებზე სათანადო დასკვნებს ვიძლეოდით. ამასთან დაკავშირებით ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილებასთან შეიქმნა „სამრეწველო საწარმოთა ეკოლოგიის სამუშაო ჯგუფი“, რომელმაც შეამოწმა ზოგიერთი საწარმოს, სახელდობრ, ქუთაისის ლითონფონის ქარხნის, ურავის დარაზხანის, თბილისის ლინოლეუმის, ბათუმის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნებისა და სხვ., ეკოლოგიური მდგომარეობა და სათანადოდ დასაბუთებული დასკვნები გადასცა ეკოლოგიური კვლევის კომისიას.

1989 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში შეიქმნა ახალი სამეცნიერო დაწესებულებები: ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის გამოეყო სახელმწიფოსა და სამართლის კვლევის ცენტრი; ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფილიალი — ხალხთა მეგობრობის მუზეუმი გარდაიქმნა ეროვნებათაშორისი ურთიერთობის კვლევის ცენტრად; საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში სამეცნიერო ინფორმაციის ცენტრის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის განყოფილების ბაზაზე შეიქმნა საზოგადოებრივი აზრის კვლევის ცენტრი. სამივე აღნიშნული ცენტრი უშუალოდ დაექვემდებარა საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებას.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს ზუგდიდის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი გადაეცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმს ფილიალის სტრუქტურული დანაყოფის სახით და ეწოდა ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ზუგდიდის სამეცნიერო ცენტრი — ზუგდიდის ისტორიული მუზეუმი.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტთან დაარსდა საცდელ-ექსპერიმენტული ბიოტექნოლოგიურა საწარმო, რომლის დანიშნულებაა ფერმენტული პრეპარატების მცირე სერიებზე და მცენარეული და მიკრობული წარმოშობის ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების საცდელი პარტიების გამოშვება.

არაერთი ხსლომა მიუძღვნა პრეზიდენტმა საქართველოს ეროვნული განვითარების და, კერძოდ, მეცნიერების განვითარების კონცეფციების დამუშავების საკითხს. ჩამოყალიბდა დარგობრივი ჯგუფები, მათ შორის საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის კონცეფციის შემქმნელი მძლავრი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც პასუხისმგებლობის გრძნობით მოეკიდნენ ეროვნული განვითარების საკვანძო საკითხების დამუშავებას და ამ დიდ საქმეს უთუოდ უახლოეს ხანში დაასრულებენ. ზოგიერთ დარგში უკვე შემუშავდა ასეთი კონცეფცია და ეკონომისტთა ჯგუფს გადაეცა (სახელდობრ, მეტალურგიის, ენერგეტიკის, სოფლის მეურნეობის მეცნიერების, სამთო მრეწველობისა და სატყეო მეურნეობის განვითარების კონცეფციები). ამავე დროს ფილოსოფიის ინსტიტუტთან შეიქმნა კიდევ ერთი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც ეროვნული განვითარების ალტერნატიული კონცეფციის დამუშავება იკისრა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საბოლოო ჯამში ჩვენ გამოვიმუშავებთ მეტ-ნაკლებად სრულ კონცეფციას, რომელიც დღევანდელი გადსახედიდან მაქსიმალური ჩაწვდომით განჭვრეტს სუვერენული საქართველოს ეროვნული განვითარების მთავარ გზას და ძირითად მიმართულებებს.

საანგარიშო წელს საგრძნობლად ამაღლდა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დაფინანსების დონე. ბუნებრივია, რომ დაფინანსების ამ მკვეთრმა ზრდამ



შესამჩნევად გააღიდა ერთ მეცნიერ მუშაკზე და ერთ მომუშავეზე გაავარაზებ-
ბით ფონდ-ალტურვილობის მაჩვენებელი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო სა-
მეცნიერო-ტექნიკური და ფუნდამენტური კვლევის პროგრამების შესრულება-
ში მონაწილეობისათვის მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიას გამოუყო ბიუჯეტური დაფინანსება
9 მილიონი მანეთის ოდენობით. აკადემიის პრეზიდიუმმა მიადღწია იმას, რომ
1989 წლის 1 ივნისისათვის სამეცნიერო დაწესებულებებს ახალგაზრდა სპე-
ციალისტებისათვის ხელფასის მოსამატებლად გამოეყო 553 ათასი მანეთი და
35 წლის ასაკს აცილებული მეცნიერი თანამშრომლებისა და სპეციალისტე-
ბისათვის — 535 ათასი მანეთი. ამგვარად, სულ ინსტიტუტებს თანამშრომლე-
ბისათვის ხელფასების მოსამატებლად შარშან დამატებით 1 მილ. 88 ათასი მა-
ნეთი გამოეყო.

შეიმჩნევა გარკვეული წინსვლა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნი-
ერო-ტექნიკური ურთიერთობის შემდგომი განვითარების დარგში. დამყარდა
ურთიერთობათა ახალი ფორმები და რაზდენადმე დაიხვეწა ამ ურთიერთობათა
მართვისა და რეალიზაციის მექანიზმი. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პირ-
დაპირი კავშირების, როგორც მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ყვე-
ლაზე პროგრესული ფორმის, თანდათან დამკვიდრება. შარშან საქართველოს
მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა 5 ხელშეკრულება
გააფორმეს სოციალისტურ ქვეყნებთან და დიდი მუშაობა შეასრულეს პირ-
დაპირი სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის დასამყარებლად, აგრეთვე
კაპიტალისტურ და განვითარებად ქვეყნებთან. აქ არ იქნება ალბათ უადგილო
დაგვეგმილი თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითის დასახელებაც. შარშან
უკვე ჩაეყარა საფუძველი აკადემიის გეოფიზიკისა და გეოლოგიის ინსტიტუ-
ტების თანამშრომლობას ერზრუმის უნივერსიტეტის მიწისძვრის შემსწავლელ
ცენტრთან, ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლობას აშშ-ის ჰუმბოლდტის
სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ფიზიკის ინსტიტუტის — ინდოეთის ცენტრა-
ლურ ინსტიტუტთან და სხვ. ზოგ შემთხვევაში უკვე დაწყებულმა ერთობლივმა
კვლევამ მნიშვნელოვანი შედეგიც მოგვცა: ასე მაგალითად, ფიზიკის ინსტი-
ტუტისა და იუგოსლავიის ფიზიკურ-ქიმიური ინსტიტუტის თანამშრომლებმა
ერთად დაამუშავეს რეაქციული კალორიმეტრის ახალი კონსტრუქცია და
ელექტრული მართვის სისტემა, მართვის სისტემების ინსტიტუტისა და ბულ-
გარეთის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკისა და მექანიკის სამეცნიერო
ცენტრის ერთობლივი კვლევის შედეგად შემუშავდა ტექნოლოგიური პროცე-
სებისათვის მრავალკრიტიკულიანი ოპტიმიზაციის უნივერსალური სისტემის
არქიტექტურა, ხელნაწერთა ინსტიტუტში ბელგიელი სპეციალისტების მონაწი-
ლეობით მომზადდა „სიტყვათა“ ლექსიკონი ეფრემ მცირისა და ექვთიმე ათო-
ნელის თარგმანებისათვის, ხოლო პალეობიოლოგიის ინსტიტუტისა და პოლო-
ნეთის მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის თანამშრომლების მიერ
წარმატებით დასრულებული ერთობლივი გამოკვლევისათვის მათ შარშან სა-
კავშირო და პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიების სპეციალური პრემია მი-
ენიჭათ.

ჩვენი სამეცნიერო დაწესებულებების ბაზაზე მოეწყო 15 საერთაშორისო
თათბირი, რომელთა მუშაობაში მონაწილეობა მიიღო კაპიტალისტური და
განვითარებადი ქვეყნების 193 სპეციალისტმა, ხოლო სოციალისტური ქვეყნე-
ბიდან — 123-მა.

საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის შემ-
დგომი განმტკიცების მიზნით აკადემიის საგარეო ურთიერთობათა სამმართვე-



ლოში ჩამოყალიბდა სპეციალური განყოფილება, რომლის დანიშნულებაც საგარეო ეკონომიკური კავშირების გააქტიურება. უნდა ითქვას, რომ ახლად შექმნილმა განყოფილებამ უკვე გააჩაღა მუშაობა და საზღვარგარეთთან ეკონომიკური კავშირის გასააქტიურებლად კონკრეტული გზებიც კი დასახა.

არაერთი ჩვენი მეცნიერის ღვაწლი აღინიშნა შარშან პრემიებითა თუ გილდოებით. საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭათ კიბერნეტიკის ინსტიტუტის თანამშრომლებს გ. ჭილაიას, კ. ჯაფარიძეს, ს. არონიშვიძეს (სიკვდილის შემდეგ), კ. ვინოკურს, დ. სიხარულიძეს, ზ. ელაშვილს. სახელობითი პრემიები მიენიჭათ ე. ბენაშვილს, ზ. ქომეთიანს, ს. ცაიშვილს.

ლენინგრადის ხელსაწყოების გამოფენის დიპლომითა და ფულადი პრემიით აღინიშნა აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში შექმნილი მოდელური კონსტრუქციის ქრომოსფერული ტელესკოპი ფაბრიკაეროს ეტალონით.

საფრანგეთის სპელეოლოგიური ფედერაციის დიდი ვერცხლის მედლით აღინიშნა გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის თ. კიკნაძის ღვაწლი სპელეოლოგიაში.

საუკეთესო ერთობლივი გამოკვლევისათვის, როგორც ითქვა, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის აკადემიების პრემია მიენიჭათ პოლონელ პალეობოტანიკოს ი. სტუხლიკთან ერთად, პალეობიოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომლებს ი. შატლოვასა და ე. ყვავაძეს.

ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი მის. ხანანაშვილი აირჩიეს ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტის საპატიო დირექტორად.

შარშან, ისევე როგორც წინა წლებში, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ყურადღება მიმართული იყო ფუნდამენტური კვლევის შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოებისაკენ. შეგახსენებთ, რომ 1989 წელს ჩვენ შევიღმუშავეთ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური კვლევის 18 პროგრამა და ჩამოვაყალიბეთ შესაბამისი საბჭოები; აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებები კვლავინდებურად მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფუნდამენტური კვლევის 17 პროგრამაში, 3 სახელმწიფო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამაში, ორ ათეულზე მეტ საკავშირო და დარგობრივ სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრამებში და რესპუბლიკურ კომპლექსურ პროგრამაში „საქართველო: მეცნიერება, ტექნიკა, ხარისხი—90“.

შარშან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ჩამოაყალიბა და მთავრობას წარუდგინა წინადადებები მომავალ ხუთწლედში დასამუშავებელი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების შესახებ. სამწუხაროდ, მინისტრთა საბჭოს მიერ მოწონებულ ნუსხაში ყველა ამ წინადადება ვერ ჰპოვა ასახვა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ენის და საქართველოს ისტორიის მეცნიერული კვლევის, სწავლებისა და პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამების, აგრეთვე რესპუბლიკური ახალი სამეცნიერო პროგრამების შესასრულებლად აუცილებელია მათი სათანადოდ დაფინანსება, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პროგრამათა რეალიზაცია გადაულახავ დაბრკოლებებს წააწყდება.

ქართული მეცნიერების მომავალზე ზრუნვამ არ შეიძლება არ დააყენოს დღის წესრიგში მეცნიერების მართვის ორგანიზაციის ახლებური გააზრება და აკადემიის სტრუქტურის შესაბამისი სრულყოფის აუცილებლობა. ამჟამად ეს საკითხი ბევრ ჩვენგანს აფიქრებს, რაზედაც საკმარისად მეტყველებს ზოგიერთი ჩვენი ცნობილი მეცნიერის მიერ ქართულ პრესაში გამოქვეყნებული წერილები საქართველოს აკადემიურ მეცნიერებაზე და საკუთრივ აკადემიაზე. ვფიქრობ, რომ აზრთა ეს გაცვლა-გამოცვლა სასარგებლოა, ალბათ, იმ შემთხვევებშიც, როდესაც ავტორები რამდენადმე სადავო დებულებებს ანვითა-

რებენ ანდა სრულიად რადიკალურ გარდაქმნებს მოითხოვენ. ეს რთული და მრავალმხრივ შესასწავლი პრობლემაა, რომელზედაც ახლა არც ვაპირებ ყურადღების შეჩერებას. მგონია მხოლოდ, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტაში ზედმეტი აჩქარება არ ივარგებს. ძველის დანგრევა, მოგვსენებათ, გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე კარგი ახლის აშენება. აუცილებელია როგორც დასავლეთის ცივილიზებული ქვეყნების აკადემიების გამოცდილების საფუძვლიანი ცოდნა და ანალიზი, ისე საქართველოს სპეციფიკისა და არსებული გარემოცვის ზოგიერთი დამახასიათებელი თავისებურების რაც შეიძლება სრულად გათვალისწინება. ვფიქრობ, ამ პრობლემისა და მრავალი სხვა საჭირობოტო საკითხის გონივრულ გადაწყვეტას დიდად გაგვიადვილებს მეცნიერების განვითარების ეროვნული კონცეფციის საბოლოოდ ჩამოყალიბება, რაც, იმედი მაქვს დიდად აღარ დაყოვნდება.

აკადემიამ დღეს უკვე გარკვეული ნაბიჯი გადადგა წინ სრული სუვერენიტეტის მოპოვებისა და დემოკრატიზაციის გზაზე. ჩვენ აღარც სამეცნიერო მუშაობის გეგმებსა და არც საგამომცემლო გეგმებს ვუთანხმებთ ცენტრს, არც მეცნიერულ თემატიკასა და მით უფრო საორგანიზაციო საქმეებს. მოსკოვის დაუქითხავად ვამყარებთ პირდაპირ კავშირებს კაპიტალისტური და განვითარებადი ქვეყნების სამეცნიერო ცენტრებთან და მაინც ეს პირველი ნაბიჯებია დამოუკიდებლობის გზაზე. უზომოდ ბევრი გვაქვს გასაკეთებელი ერის საღვთისო და სამომავლო სასიცოცხლო პრობლემების გადაჭრის მეცნიერული საფუძვლების დასამუშავებლად პოლიტიკის, ეკოლოგიის, ეკონომიკის, სამართლისა და სხვა უმნიშვნელოვანეს სფეროებში, ზოლო ეს მეტად რთული საქმეა, რადგან აღნიშნული პრობლემების დამუშავება დღეს უკვე მოითხოვს ჩვენში ჯერ კიდევ ფესვებგაუდგმელ სისტემურ მიდგომას, მეცნიერების ჭეშმარიტი ინტეგრაციის აუცილებლობას.

ყოველივე ეს ასეა, მაგრამ არ მინდა მოხსენების დაეჭვების ხმაზე დასრულება. მწამს, რომ ჩვენი ძალების გაერთიანება და ერის სამსახურში ჩაყენება ყოველგვარ დაბრკოლებას დაგვაძლევინებს.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ა. აფაშიძის მოხსენება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის აკად. ა. თავხელიძის მოხსენებაში მკაფიოდ წარმოსდგა ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები, რომელთა განვითარებისათვის გასულ წელს გაწეული სამუშაოები აკადემიის საერთო კრებამ დღეს უნდა შეაჯამოს. პრეზიდენტის მოხსენება სავსებით ბუნებრივად შეაესო აკად. ლ. გაბუნიას ვრცელმა და საინტერესო გამოსვლამ. ყველაფერი ეს მე საფუძველს მაძლევს დავეთანხმო ბატონ გიორგი ზარბიძის წინადადებას და აღარ გავიმეორო ის, რაც უკვე ითქვა, საკუთრივ ჰუმანიტარული მეცნიერების განვითარების შესახებაც. მე მხოლოდ ზოგიერთ საკითხს შევეხები.

პრეზიდენტის და სამეცნიერო დაწესებულებების ზრუნვა იმისათვის, რომ გარდაქმნა ნამდვილად შეეხოს ქართულ მეცნიერებას, მის განვითარებას და მართვას, შეიძლება მივიჩნიოთ საანგარიშო პერიოდში პრეზიდენტისა და საზოგადოდ აკადემიის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანეს მიმართულებად. რა თქმა უნდა, გაკეთებულით კმაყოფილი არ შეიძლება ვიყოთ, მაგრამ მომავლის ინტერესები მოითხოვენ, უთუოდ იყოს გათვალისწინებული, ის, რაც გასულ წელს გაკეთდა: წარმოჩნდეს მისი როგორც დადებითი, ისე ნაკლოვანი მხარეები.



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის სამეცნიერო დაწესებულებების კვლევა-ძიებას გასულ წელსაც მკაფიოდ მიზანსწრაფული ქართველთმცოდნეობითი პრობლემატიკა განსაზღვრავდა. ამ მიმართულებას ჰქონდა საგანგებო მზარდაჭერა მეცნიერების, მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების, რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების მხრივ და, სწორედ ამან, ჩემი აზრით, განაპირობა, ბევრი წარმატება, მოპოვებული გასული წლის საგანგებო ვითარებაშიაც კი. ქართველთმცოდნეობით სამეცნიერო მიმართულებათა განვითარებისათვის მიზანსწრაფულმა ზრუნვამ შეაერთა ქართული სამეცნიერო საზოგადოებრიობა აღმავალ ეროვნულ მოძრაობასთან, რომლის სათავეშიც კი, ეს სახეობით ბუნებრივია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი სასწავლებლების, შემოქმედებითი ორგანიზაციებისა და საზოგადოდ ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები მოღვაწეობდნენ, თანაც დიდი წარმატებით. ეს გასული წლის სამეცნიერო თუ სამეცნიერო-საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ. ეროვნული მოძრაობისა და სამეცნიერო საზოგადოებრიობის ამ ერთიანობას განმტკიცებას ემსახურებოდა ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომელთა თათოსობა შექმნილიყო აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლების სათათბირო, იმისათვის, რომ ყოველთვის სათანადოდ შეთანხმებული — კოორდინებული და გაერთიანებული ყოფილიყო მეცნიერთა წვლილი ეროვნული მოძრაობის აღმავლობაში. ამ პროცესში, ამ ერთიანობაში მომწიფდა მეცნიერებათა აკადემიის 1989 წლის 2 ნოემბრის საერთო კრების მიერ მიღებული აწ საქვეყნოდ ცნობილი დეკლარაცია, რომლის შექმნაში განსაკუთრებული როლი მიუძღვით ჩვენს ცნობილ მეცნიერებს, საგანგებოდ კი, ბატონ ალექსანდრე ჯავახიშვილსა და ბატონ ნიკო ჭავჭავაძეს. დეკლარაცია რომელიც ერთხმად მოიწონა აკადემიის საერთო კრებამ და, შეიძლება ითქვას, ქართველმა ხალხმა, მთლიანად ვახდა პრინციპული საყრდენი მეცნიერებათა აკადემიის დამოკიდებულებისა და თანამშრომლობისა მამულთმცოდნეულ მოძრაობასთან. აკადემიის მუშაობა მნიშვნელოვანწილად სწორედ ამ დეკლარაციის შესრულების მიმართულებით იყო გამიზნული და პრაქტიკულადაც წარმართული. სწორედ ამ მიმართულების ზორცემსხმის დონემ და პერსპექტივებმა უნდა მიიღოს შეფასება აკადემიის საერთო კრებაზე. აკადემიის დეკლარაციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული ინტერესები ქართველთმცოდნეობისა ეროვნულ მოძრაობასთან შეხამებით და მის წარმატებისათვის ხელშესაწყობად. ამასთან იყო დაკავშირებული ნაბიჯები, რომელთა შესახებ აქ საკმაოდ დაწვრილებით უკვე იყო საუბარი და, ჩემის მხრივაც, საგანგებოდ დავასახელებდი 1989 წლის 9 აპრილის ტრაგედიის გარემოებათა გამომკვლევ კომისიის მიერ შესრულებულ, ანტიეროვნული ძალების მიერ, მრავალმხრივ ხელოვნურად გართულებულ სამუშაოებს. ეს ტრაგედია და არსებითად აკადემიური კომისიის თავდადებული ეროვნული სამსახურები საუკუნოდ შერჩება ქართველების ეროვნულ ისტორიას.

საანგარიშო წელს უმთავრესი ქართველოლოგიური მიმართულებები ტრადიციულად ვითარდებოდა. მე ვგულისხმობ მუშაობას, უპირველეს ყოვლისა, ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის შესაქმნელად — ძალიან დიდ მუშაობას, რომელიც განახორციელეს არნოდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მეცნიერებმა. მე ვგულისხმობ საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამის შემუშავებას, მის დახვეწას. ამ შემთხვევაში მთავარი ტვირთი იკისრეს: აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის

ინსტიტუტმა, თბილისის უნივერსიტეტმა და საქართველოს საისტორიო საზოგადოებამ. უმთავრესი — იქვე, თორემ იმდენი შენიშვნა და იმდენი სურვილი იყო მიღებული საზოგადოებისგან, რომ ამას საგანგებო შეფასება სჭირდება და ალბათ, სათანადო დროს ეს გაკეთდება კიდევაც.

აქ იყო უკვე ნათქვამი, იმის შესახებაც, რომ აკადემიამ მიიღო შესაძლებლობა უცხოეთთან სამეცნიერო კავშირ-ურთიერთობათა დამოუკიდებლად განვითარებისა. მე მინდა ჩვენი ჰუმანიტარული დარგის მეცნიერთა სახელითაც შევეუბნოთ ამ შეფასებას. ამასთან, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ყველაფერი ეს კეთდებოდა არა ცენტრთან, ე. ი. მოსკოვის შესაბამის დაწესებულებებთან ტრადიციული შეთანხმების და იმათგან ნებართვის გამოთხოვის გზით, არამედ სრულიად დამოუკიდებლად, ავტონომიურად. ამ მხრივაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰუმანიტარული დარგის დაწესებულებები, ყოველ ნაბიჯზე ხვდებოდნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისა და საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელი ორგანოების სრულ მხარდაჭერას. ჩვენ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან ურთიერთობა მომავალში კიდევ უფრო განვითარდება.

მეცნიერებათა აკადემიის დამოუკიდებლობის — ავტონომიურობის კიდევ რამდენიმე ფაქტს მოვახსენებთ. 1989 წლამდე ჩვენში არსებობდა საბჭოთა კავშირის სოციოლოგთა ასოციაციის საქართველოს განყოფილება. საანგარიშო წელს საქართველოს სოციოლოგები შეიკრიბნენ და მიიღეს გადაწყვეტილება — ამიერიდან არსებობდეს დამოუკიდებელი საქართველოს სოციოლოგიური ასოციაცია. იგივე ნაბიჯი გადადგეს პოლიტოლოგთა საბჭოთა ასოციაციის საქართველოს განყოფილების წევრებმა, რომლებმაც საგანგებო შეკრებაზე მიიღეს გადაწყვეტილება პოლიტოლოგთა ეროვნული ასოციაციის შექმნის შესახებ. ყველაფერ ამას პრეზიდიუმმა მხარი დაუჭირა და მიიღო გადაწყვეტილებები პოლიტოლოგთა და სოციოლოგთა საქართველოს ასოციაციების შექმნის შესახებ. ეს უნდა იყოს განხილული, ვითარცა უაღრესად მნიშვნელოვანი ნაბიჯი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ავტონომიურობისაკენ. აქ იყო უკვე ნათქვამი იმის თაობაზეც, რომ ცენტრთან დაუვითხავად გასულ წელს მომხადლა წინადადებები სამეცნიერო ატესტაციის, კერძოდ, სამეცნიერო ხარისხებისა და წოდებების მინიჭების საკითხების აქვე, საბოლოოდ საქართველოშივე გადაწყვეტის შესახებ. საანგარიშო წელს გამომცემლობა „მეცნიერება“ მუშაობდა საბოლოოდ საქართველოში, აკადემიის პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული საგამომცემლო პროგრამით. ამ რიგის გადაწყვეტილებათა შორის არის სამეცნიერო-საორგანიზაციო და სტრუქტურის პრინციპული საკითხებიც. ცენტრისგან სათანადო ნებართვის გამოთხოვის გარეშე გადაწყვიტა რესპუბლიკამ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში სახელმწიფოს და სამართლის კვლევის ცენტრის, ერთაშორის ურთიერთობის კვლევის ცენტრის, სოციოლოგიური კვლევის ცენტრისა და დემოგრაფიის სოციალ-ეკონომიკური კვლევის ცენტრის, ვითარცა დამოუკიდებელი დაწესებულებების შექმნა. იგივე უნდა ითქვას რუსულ-ქართულ ურთიერთობათა კვლევის საგანგებო დაწესებულების შესახებ, რომელიც მოსკოვში არსებობს და მოღვაწეობს. ეს ნაბიჯები ჩემის აზრით არის მკაფიო დამახასიათებელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მტკიცედ სვლისა დამოუკიდებლობისაკენ, რომლის შემდგომი გაფართოებისა და განვითარების ამოცანები საერთო კრებამ უნდა განსაზღვროს.

1989 წლის განსაკუთრებული მნიშვნელობის სამუშაოდ ქართველთმცოდნეები მიიჩნევენ ელექტრონულ მანქანათა დანერგვას. პირველად საანგარიშო წელს მიიღეს ჰუმანიტარული დარგების სამეცნიერო დაწესებულებებმა თა-

ნამედროვე კომპიუტერები და შეუდგენენ მათ გამოყენებას. დასაწყისი დამამედებელია. 1989 წელი ისტორიის შერჩება ვითარცა ვარდატეხის წელი ჰუმანტარულ მეცნიერებათა კვლევის კომპიუტერიზაციის დარგში.

საანგარიშო წელს ტრადიციულად საინტერესო სამუშაოებს ატარებდნენ აკადემიის სამეცნიერო საზოგადოებები: ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საქართველოს საისტორიო საზოგადოება, რომელთანაც დაარსდა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია, საქართველოს ფილოსოფიური და ფსიქოლოგიური საზოგადოებები, საქართველოს სოციოლოგთა, პოლიტოლოგთა, ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა ასოციაციები, საზოგადოება „ჯავახეთი“ და კიდევ არაერთი სხვა, რომელთაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შესაბამისი დაწესებულებები მფარველობენ და ხელმძღვანელობენ.

საერთო კვლევის მონაწილეების ყურადღებას უთუთოდ მიუქცევდა ისიც, რომ პირველად საანგარიშო წელს დაიბეჭდა მხოლოდ ქართულ ენაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წლიური სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმაცა და აკადემიის კვლევითი და სამეცნიერო-საორგანიზაციო მუშაობის შედეგები. ეს იმას ნიშნავს, რომ პირველად 1989 წელს დამოუკიდებლად, ცენტრთან შეთანხმების გარეშე შეადგინა მეცნიერებათა აკადემიამ ეროვნული მეცნიერების სამუშაო პროგრამა. შესაბამისად, პირველად 1989 წლის ბოლოს აღარ ჩააბარა ანგარიშგება სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ან მის საკორდინაციო საბჭოს.

რა თქმა უნდა აკადემია არ ისწრაფვის კარჩაკეტილობისაკენ; მას აქვს ფართო შესაძლებლობა მეცნიერული კვლევის უმნიშვნელოვანესი შედეგები გაიტანოს ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ ენაზე. ეს ქართული მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა საკაცობრიო მეცნიერების წინაშე. აქ უკვე იყო აღნიშნული, რომ მეცნიერული მიღწევების თავისებური მაცნეების, ეგრეთწოდებული პრეპრინტების გამოცემას სწორედ საანგარიშო წელს ჩაეყარა საფუძველი და უკვე ათეულობით პრეპრინტი გაჩნდა მეცნიერთა წიგნის თაროებზე. 1000-მდე პრეპრინტის გამოცემის შესაძლებლობა აქვს ყოველწლიურად აკადემიას, თანაც რომელ ენაზეც გნებავთ. ამას გარდა, აკადემიას აქვს სხვა გზებიც, იმისათვის, რომ თავისი უმნიშვნელოვანესი მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდ გაიტანოს. ერთი სახე ასეთი შესაძლებლობისა არის აკადემიის ბეჭდვითი სამეცნიერო პროდუქცია. ამ მხრივაც მეცნიერებათა აკადემიას საანგარიშო წელს მრავალმნიშვნელოვანი წიგნი შეემატა და გამომცემლობისა და სტამბის თანამშრომლებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აკადემიის საერთო მოღვაწეობაში.

ჩვენი მეცნიერული კვლევის შედეგების ფართოდ გატანის ტრადიციული გზებია საერთაშორისო, საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, სიმპოზიუმები; მათ მალღ მეცნიერულ დონეზე ჩატარებას გასულ წელსაც დიდ ყურადღებას აქცევდნენ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, სამეცნიერო განყოფილებები და სამეცნიერო დაწესებულებები. 18 ასეთი საერთაშორისო და საკავშირო კონფერენცია, სიმპოზიუმი თუ სამეცნიერო სესია გაიმართა საანგარიშო წელს, რომლებზედაც მოისმინეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლეს სასწავლებელთა კათედრების წარმომადგენლებისა და უცხოელ თუ მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერთა კვლევის შედეგები. ეს ის ფორმებია, რომელსაც საანგარიშო წელსაც აკადემია ძალიან ფართოდ ავითარებდა და ეს ყველაფერი ჩვენ გვაძლევს იმის უფლებას, რომ ასევე ფართო, დამოუკიდებელი კავშირები გვქონდეს, როგორც საბჭოთა კავშირის, ისე უცხოეთის სამეცნიერო ცენტრებთან.

მეცნიერებმა საანგარიშო წელს, ძალიან ბევრი იშრომეს იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილი და სუვერენული საქართველოსთვის უფრო შესაფერისი ყოფილიყო ეროვნული განვითარების კონცეფცია, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ პრინციპულად მოიწონა.

ახლა აკადემიური დაწესებულებები გულმოდგინედ მუშაობენ ეროვნული ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარების კონცეფციისა და პროგრამების ალტერნატიულ კონცეფციათა შემუშავებაზე.

ეროვნული განვითარების კონცეფციის ხერხემალი ერთაშორის ურთიერთობის საკითხების გადაწყვეტას ვერ აცდება. სწორედ საანგარიშო წელი გამოირჩევა ტრავმებით ერთაშორის ურთიერთობის დარგში, მაგრამ დღემდე ქართველმა ხალხმა ვერ მიიღო სრული პასუხი გასული წლის ტრავმების ორგანიზატორთა, უშუალო დამნაშავეთა და მათ წამქეზებელთა დასჯის შესახებ. „საქმე ძიებაშია“, „საქმეს პროკურატურა სწავლობს“ ხალხს აღარ აკმაყოფილებს. საჭიროა კონკრეტული პასუხები და ამ საქმეში სახელმწიფოს და სამართლის ახლადდაარსებული ცენტრი პრაქტიკულად უნდა ჩაერთოს. სხვას რომ თავი გავანებოთ ამას ერთაშორის ურთიერთობის შემდგომი საფეხურისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

უკვე ითქვა, რომ საჭირო ნაბიჯი გადაიდგა, როდესაც ხალხთა მეგობრობის მუზეუმი გარდაიქმნა ერთაშორის ურთიერთობის კვლევის ცენტრად. ცხადია, სახელის შეცვლით არ უნდა დაგკამაყოფილდეთ. დაძლევა უნდა მუშაობის, კვლევისა და პროპაგანდის ტრადიციულ გზასა და მეთოდებს. ამ სამეცნიერო დაწესებულების მთელი მოღვაწეობა მცდარ წინამძღვრებზე დაფუძნებული გამოდგა. ახლა მუშაობის გარდაქმნის შესახებ არც კი შეიძლება საუბარი. საჭიროა ალბათ თავიდან დაწყება და სულ სხვა საფუძველზე ამოყვანა ხალხთა მეგობრობის სასახლისა. ეს ძალიან რთულ სამუშაოსთან არის დაკავშირებული. პრეზიდენტმა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ რაც შეიძლება, სწრაფად უნდა შესძლოს ამ ახალი სამეცნიერო დაწესებულების ჩაყენება ეროვნულ სამსახურში. ამ მუშაობაში მკაფიოდ უნდა გამოჩნდეს მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის პარტიულობის პრინციპის საყოველთაოდ აღიარებამ, განსაკუთრებით კი, მისმა ვულგარულმა გავრცელებამ რარივ დიდი ზიანი მოუტანა შესაბამისი სამეცნიერო დარგების განვითარებას. წინა საანგარიშო კრებაზე დასმული მეცნიერების პარტიულობისა და კლასობრიობის პრინციპის ვულგარიზაციის უარყოფის თაობაზე 1989 წლის საანგარიშო კრებაზე დასმული ამოცანის სრულად გააზრება და ხორცშესხმა გასულ წელს ვერ მოხერხდა. დაყოვნებას კი ცხოვრება არ გვაპატიებს. გარდაქმნის ინტერესების შესაბამისად წელს უფრო მკაფიოდ იჩინა თავი ტრადიციული დოგმების მტკიცედ უარყოფის საჭიროებამ. ერთაშორის ურთიერთობის დარგში მეცნიერულადაც უარსაყოფია ლენინური პრინციპი. იმის თაობაზე, რომ ყოველ ერში ვექებდით ორ ერს და ყოველ ეროვნულ კულტურაში — ორ ეროვნულ კულტურას. ლენინიზმის ეს ცნობილი პოზიცია აფერხებს და აბრკოლებს ეროვნული საკითხებისა და, მით უფრო, ერთაშორის ურთიერთობის კვლევას. პრინციპი ერების გახლეჩვისა ორ მოპირდაპირე მხარეებად და ეროვნული კულტურის გახლეჩისა ორ მოპირდაპირე კულტურად დაუყოვნებლივ უარყოფას საჭიროებს. ცხადია, არ არის საკმაო ეს გაკეთდეს მხოლოდ დეკლარაციულად. პრინციპულად ახალ საძირკველზე უნდა იყოს ამოყვანილი ერთაშორის ურთიერთობის კვლევა, ეროვნული კულტურისა და ქართული ცივილიზაციის შესწავლა.



საანგარიშო წელს, ტრადიციულად მნიშვნელოვან სამუშაოებს ატარებდნენ ექვთიმე თაყაიშვილის სახ. საისტორიო საზოგადოება, რომელთანაც დაარსდა ახალგაზრდა ისტორიკოსთა ასოციაცია, ფსიქოლოგთა, ფილოსოფოსთა, სოციოლოგთა, პოლიტოლოგთა საზოგადოებები და ასოციაციები, ქართულ-გერმანულ ურთიერთობათა ასოციაცია, საზოგადოება „ჯავახეთი“ და კიდევ არაერთი სხვა, რომელთაც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებები და დაწესებულებები მფარველობენ. საერთო კრების მონაწილეებს მოეხსენებათ, რომ პირველად საანგარიშო წელს დაიბეჭდა აკადემიის სამუშაო გეგმები და აკადემიის მუშაობის წლიური ანგარიშგება მხოლოდ ქართულ ენაზე. ეს განცხადება ისე კი არ უნდა იყოს გაგებული თითქოს აკადემია კარჩაკეტილობისკენ ისწრაფვის. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და არც იქნება. აკადემიას აქვს ძალიან ფართო შესაძლებლობა, უმნიშვნელოვანესი მეცნიერული კვლევის შედეგები გაიტანოს ნებისმიერ დონეზე, ნებისმიერ ენაზე. აქ უკვე იყო ლაპარაკი მეცნიერული მიღწევების თავისებური მაკინების, ევროტ-წოდებული „პრეპრინტების“ გამოცემის თაობაზე. უკვე ათეულობით „პრეპრინტ“ გაჩნდა მეცნიერთა წიგნის თაროებზე და არის შესაძლებლობა ყოველწლიურად ათასი ასეთი „პრეპრინტის“ გამოცემისა, თანაც ავტორისათვის სასურველ ენაზე. ამის გარდა, აკადემიის საორგანიზაციო სამმართველოს აქვს შესაძლებლობა და ვზები იმისათვის, რომ მეცნიერული კვლევის შედეგები ფართოდ გაიტანოს საერთაშორისო სარბიელზე. ამ მხრივაც მეცნიერებათა აკადემიას საანგარიშო წელსაც საკმაოდ კარგი მახასიათებელი აქვს. ამის შესახებ საკმაოდ სრულად იყო ლაპარაკი აკადემიკოს-მდივნის მოხსენებაში და განმეორება არ არის აუცილებელი.

**საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის
ბ. სანაძის მოხსენება**

ნება მომეცით შევეუბნებო იმ სრულიად სწორ შენიშვნას, რომელიც მეც შემამოკლებინებს ჩემს ანგარიშს, მაგრამ მე მინდა მაინც ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ როგორც აკადემიის, ისე ჩვენი ქვეყნის ყველა დაწესებულების კოლექტივების თუ ცალკეული ადამიანის ცხოვრება მიდიოდა სოციალ-ეკონომიკური გარდაქმნების მწვევე პოლიტიკურ ვითარებაში, ამიტომ, მე არ შემოძლია მოკლედ მაინც არ შევეხებო ამ მოვლენებს ისე, როგორც მე ეს შესაძლებელია როგორც ეს, ჩემის აზრით, ზემოქმედებას ახდენდა აკადემიის პროფესიულ მუშაობაზე.

გასული წელი განსაკუთრებული გამოდგა სოციალური და პოლიტიკური მოვლენების მრავალფეროვნებით. სოციალისტური სამყარო ბეჭითად იკავავს გზას დემოკრატიული სახელმწიფოებრიობისაკენ. ხმადაღმა და დაქინებით ისმის მოწოდებანი, რომლებიც მოითხოვენ ადამიანის ნების თავისუფლებას და ამდენად, შემოქმედებითი უნარის დამთრგუნველი ავტორიტარული მართვის ხერხების დაუყოვნებლივ დემოკრატიულით შეცვლას. ამ თვალსაზრისის სახელმწიფო პოლიტიკად გამოცხადებამ ხელი შეუწყო პიროვნების თავისუფლების დაუოკებელი მოთხოვნების გამოყვანებას და ხალხის ეროვნული დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვის გაძლიერებას.

მოგეხსენებათ, რომ ჩვენი ქვეყანაც რადიკალურად განწყობილი და მოქმედი გაერთიანებების წყალობით, რომელთაგან ბევრი უკვე დამოუკიდებელ პარტიად ჩამოყალიბდა, ამ მოვლენათა ცენტრში მოექცა. შედარებით მოკლედ

დროში გასაოცარი ცვლილებები განიცადა ჩვენმა საზოგადოებამ, საზოგადოებრივმა აზრმა. ეროვნული დამოუკიდებლობის იდეალებმა მყარად მოიკიდა ფეხი ჩვენს ცხოვრებაში, საზოგადოების, განსაკუთრებით კი ინტელიგენციის, ყველა ფენაში. მოხდა ფასეულობათა გადააზრება. ქვეყანამ აქტიური პოლიტიკური ცხოვრება დაიწყო. გასული წლის აპრილის ტრაგიკულმა მოვლენებმა ეს პროცესები შესამჩნევად დააჩქარა.

შექმნილმა ვითარებამ გააშიშვლა და საზოგადოების ყურადღების ცენტრში მწვავედ დააყენა ისეთი პრობლემებიც, რომელნიც დღემდე მივიწყებული იყო. ამან აკადემიის თანამშრომელთა ეროვნულ მოძრაობაში აქტიური ჩარევა გამოიწვია. რა დასამალია, რომ ჩვენი ინსტიტუტების თანამშრომელთა პოლიტიკური აქტიურობა ხშირად პროფესიული შრომისათვის განკუთვნილ დროის ხარჯზე ხდებოდა. ეს ფაქტორი, ჩემის აზრით, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული გასული წლის სამეცნიერო მუშაობის შეფასებისას.

მოგეხსენებათ, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დეკლარაცია გამოხატავს ჩვენს საერთო პოზიციას, ვფიქრობ, სწორ ეროვნულ პოზიციას. დეკლარაციის დებულებათა რეალიზაცია ესაა მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პერსონალის მიერ ერის წინაშე ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. ეს კი მთელი სისრულით მიღწეული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წამოჭრილი მწვავე საკითხების გადაწყვეტასთან ერთად შევძლებთ გეგმით გათვალისწინებული სამეცნიერო სამუშაოების პროფესიულ სიმაღლეზე შესრულებას.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის როგორც ცალკეული კვლევითი ინსტიტუტები, ისე პრეზიდიუმიც შეძლებისდაგვარად ცდილობდნენ გადაეწყვიტათ ტრადიციული და ვითარების შესაბამისად წამოჭრილი პრობლემები.

მე შემიძლია მოკლედ შევეხო იმ ძირითად შედეგებს, რომლებიც, მიუხედავად დაძაბული ვითარებისა, მაინც საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ ნება მომეცით, ეს დაეტოვო ჩემს ანგარიშში და გადავიდე ისეთ საკითხებზე, რომლებიც უფრო მწვავედ და უფრო პრობლემატურად მეჩვენება, თუნდაც ჩვენი პროფესიული თვალსაწიერიდან. ეს გახლავთ ეკოლოგიის საკითხები.

დედამიწაზე მობინადრე ცოცხალი ორგანიზმების საარსებო გარემოს დაცვის იდეოლოგია, რომელსაც ხშირად ბუნებრივი პირობების და „ეკოლოგიური წონასწორობის“ შენარჩუნებასთან აიგივებენ, ფაქტიურად ბიოგეოცენოლოგიური წონასწორობის შენარჩუნებას გულისხმობს, რომელიც დედამიწაზე სიცოცხლის და, კერძოდ, ადამიანის არსებობის აუცილებელი პირობაა. ადამიანის კოსმოსში შექრამ გააფართოვა ბიოსფეროს ფარგლები და ამასთან ერთად ეკოლოგიური პრობლემების მასშტაბიც.

კაცობრიობა, რომელიც ბიოსფეროში ჩაისახა, მუდამ აზდენდა მასზე შემოქმედებას. თავდაპირველად, როდესაც ეს შემოქმედება არ იყო საკმარისად ძლიერი, იგი არ იწვევდა ეკოლოგიურ კრიზისებს. ამავე დროს ცნობილია, რომ ეკოლოგიური წონასწორობის ისეთმა „დამცველმა“, როგორიც მწვანე მცენარე გახლავთ, სიცოცხლის განვითარების ფანეროზის ხანის დასაწყისში (დაახლოებით 600 მილიონი წლის უკან) ფოტოსინთეზის ფუნქციის გაძლიერების შედეგად გამოიწვია ჟანგბადის ატმოსფეროში დაგროვება და ამით პირველი სეროზული „გაჰუჰყიანება“ მოახდინა ატმოსფეროსი. ამის შედეგად ძლიერ შემცირდა იმ დროისათვის გაბატონებული ანაერობული, შეიძლება ითქვას, ერთადერთი სახე სიცოცხლისა. ამავე დროს ატმოსფეროში ჟანგბადის დაგროვებას მოჰყვა ცოცხალი სამყაროს განვითარებისათვის დადებითი შედეგიც, შე-

იქმნა ოზონის „ფარი“, რომელმაც, თავის მხრივ, ცოცხალი ორგანიზმების ხელეწიერებით განსახლება და გენოფონდის საოცარი მრავალფეროვნების შექმნა განაპირობა. ოზონის „ფარი“ რომ არა საერთოდ სიცოცხლეს დედამიწაზე საფრთხე შეექმნებოდა.

ამ ასპექტში მე ვფიქრობ საინტერესო იქნებოდა აქ იმის აღნიშვნა, რომ ჩვენი წინადადებით ამჟამად დამუშავების პროცესშია საერთაშორისო სამეცნიერო პროექტი „იზოპრენი — ოზონი“, რომლის განხორციელებაში თბილისის უნივერსიტეტის ფოტოსინთეზის პრობლემურ ლაბორატორიასთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის და მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტები და ამერიკის შეერთებული შტატების რამდენიმე ცნობილი ლაბორატორია. ამის შესახებ უახლოეს ხანში განზრახული მაქვს ფართო ინფორმაცია მივაწოდო ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებას.

ზემოთქმული მაგალითია იმისა, თუ რაოდენ სახიფათოა ბუნებაში ათასეული წლების მანძილზე შექმნილი ჰარმონიის შენარჩუნების თვალსაზრისით თუნდაც ერთი რომელიმე ფაქტორის კონცენტრაციის შეცვლა. ამავე დროს ეს იმის კარგი მაგალითიცაა, რომ ცოცხალ ბუნებას ადაპტაციისა და ტრანსფორმაციის საოცრად დიდი უნარი აქვს. ორგანიზმთა აშკარად დიდი სასიცოცხლო რეზერვები ეკოსისტემების ტევადობის და ჰომეოსტაზის სიდიდის სწორი შეფასების საშუალებას იძლევა და, თავის მხრივ, არსებული ეკოსისტემების მდგრადობის სიდიდეს განსაზღვრავს. პირველ რიგში ეკოსისტემების სწორედ ეს მახასიათებლები უნდა იყოს გამოყენებული, როდესაც ბუნების რაციონალური გამოყენება იგეგმება.

ადამიანის მიერ წარსულში გამოწვეული ეკოლოგიური კრიზისებიდან აღსანიშნავია ზემო პალეოლითის ეკოლოგიური კრიზისი, როდესაც მსხველ ცხოველებზე (მამონტი, ბეწვიანი მარტორქა და სხვ.) ინტენსიურმა ნადირობამ ამ ცხოველების გადაშენება გამოიწვია, ხოლო ამან, თავის მხრივ, ბიჭვი მისცა მიწათმოქმედების განვითარებას. დააკვირდით, არის ეკოლოგიური კრიზისები, რომლებიც ბიძგს აძლევს მთელ რიგ პროგრესულ მოვლენებს დედამიწაზე და მე მინდა ხაზი გაუვსვა იმას, რომ ეს რეზერვები დღესაც არსებობს. თუ ჩვენ გონივრულად გამოვიყენებთ ამ რეზერვებს, ალბათ, ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ისეთი, რაც თითქოს მიუღებელია და რასაც დღეს ხშირად ტექნოკრატის ვეძახით.

გარდა ამისა, ცნობილია სხვა ეკოლოგიური კრიზისებიც, რომლებიც ადამიანის ადრინდელი სამეურნეო მოქმედებით იყო გამოწვეული, მაგრამ ეს კრიზისები არ ატარებს ისეთ გლობალურ ხასიათს, რასაც ადგილი აქვს დღეს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის ეპოქაში, რომელმაც მთელი დედამიწა და მისი მახლობელი კოსმოსური რეგიონი მოიცვა. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შედეგის გაუფრთხილებელი, არარაციონალური გამოყენება სადღესოდ უკვე გლობალური ხასიათის ეკოკრიზისებს გამოიწვევს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყოველგვარ ეს თვისი არსით შეუქცევად ხასიათს ატარებს, მაშინ საეჭვო ხდება თვით ადამიანის, როგორც ბიოლოგიური სახეობის, გადარჩენის პერსპექტივაც.

საქართველოში არსებულ ეკოლოგიურ სიტუაციას ამძაფრებს სახალხო მეურნეობის მრავალდარგიანობა, გეგმაზომიერი განვითარების მეცნიერულად დასაბუთებული ერთიანი კონცეფციის უქონლობა, ბუნებრივი რესურსების ჩვეული უყაირათო ხარჯვა და, საერთოდ, მეურნეობის წარმართვის და მისი „ეკოლოგიური კულტურის“ დაბალი დონე.

არსებული ვითარებიდან გამომდინარე — ეკოლოგიური გამოკვლევების

გრძელვადიანი კომპლექსური პროგრამის შემუშავების დასაჩქარებლად, ჩვენს ქვეყანაში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების მწვავე პრობლემების მეცნიერულად დასაბუთებული საშუალებებით გადაჭრის, საღი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების, ეკოლოგიური ექსპერტიზის პროფესიული ცენტრების შექმნის და ეკოლოგიური გამოკვლევების გეგმავლობითი, მიზანდასახული წარმართვის მიზნით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა შექმნა აკადემიის ბიოსფერული და ეკოლოგიური კვლევის კომისია, რომელმაც ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარა, რის შესახებაც თავს აღარ შეგაწყენთ. თუ რომელიმე კონკრეტული საკითხი დაისმება, მე მზად ვარ პასუხი გავცეთ. ვიტყვი მხოლოდ, რომ სულ მალე გამოქვეყნდება ამ სამუშაოთა პირველი ქართულენოვანი აკადემიური კრებული.

ახლა იმ სამეცნიერო პრობლემათაგან, რომლებიც დღეს ჩვენს წინაშე დგას ერთ-ერთი მათგანია სოფლის მეურნეობის მეცნიერების საკითხების პოგვარება. ვასულ წელს საქმაოდ მწვავედ დავეცი ამის შესახებ საკითხი, მაშინ ითქვა, რომ ან ეს განყოფილება გაძლიერდება, ანა როგორღაც გარდაიქმნება მისი სტრუქტურა. დღეს ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ — განყოფილება უნდა დაეტოვოს, განყოფილების აკადემიკოს-მდიენის თანამდებობაზე უკვე მოვიწვიეთ საქმაოდ გამოცდილი ბ-ნი ოთარ ნათიშვილი და მე იმედი მაქვს, რომ ამით ზოგი პრობლემა გადაჭრილად შეიძლება ჩაითვალოს.

დასასრულ მინდა შევეხო ისეთ პრობლემებს, რომელთა გადაჭრა მეცნიერებათა აკადემიის მომავალ საქმიანობაში უმნიშვნელოვანესად მიმაჩნია. თანაც ვფიქრობ აკადემიის მათ გადასაწყვეტად ძალაც შესწევს და ხელეწიფება კიდევ.

ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვების ბრძოლის გზაზე ყველაზე საშური საქმეა ახალგაზრდა კადრების შერჩევა და მომზადება. ამისათვის კი ვფიქრობთ არსებობს ერთადერთი გზა. აკადემიის წამყვანი სპეციალისტების სასწავლო დაწესებულებებთან მჭიდრო და გამოზნული კონტაქტი ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენისათვის, რათა ისინი სტუდენტობიდანვე იქნენ ჩამულნი კვლევით საქმიანობაში. აუცილებელია ახალგაზრდა სპეციალისტები მოსამზადებლად სისტემატურად იგზავნებოდნენ მსოფლიოს წამყვან სამეცნიერო ცენტრებში. ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ერთი ფაქტი ახლო წარსულიდან. ჩვენი უნივერსიტეტის გახსნის პირველ წლებში ბატონმა ივანე ჯავახიშვილმა მრავალი ახალგაზრდა გააგზავნა ევროპის სამეცნიერო დაწესებულებებში. სწორედ ამ გზით მომზადებული სპეციალისტების მოღვაწეობის შედეგად ჩვენში შეიქმნა მძლავრი ეროვნული სამეცნიერო კერები. სამეცნიერო კადრების მომზადების ეს გზა ძალზე ეფექტურ გზად მიმაჩნია. ჩვენ არ გვავიწყდება ისიც, რომ ამ მხრივ გარკვეული ნაბიჯები უკვე გადადგმულია, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს ხერხი უნდა დამკვიდრდეს ახალგაზრდა კადრების აღზრდის ერთ-ერთ ძირითად წესად.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის თაოსნობით შექმნა ასპირანტთა რესპუბლიკური ასოციაცია, რომელიც, პრეზიდიუმის აზრით, მომავალი სამეცნიერო კადრების და მათი პროფესიული ინტერესების მაკოორდინებელი ცენტრი უნდა გახდეს. თუ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი კვლავაც აქტიურად შეუწყობს ხელს ასოციაციის საქმიანობას, ეს იმის საფუძველი იქნება, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა აკადემიის მიმდინარე სამეცნიერო და საორგანიზაციო საქმიანობაში ეფექტური ჩართვის მონაწილეობის პრობლემა დადებითად გადაწყდება. როგორც მოგეხსენებათ, კადრებზე ზრუნვის ეს მხარე ჯერ კიდევ ბოლომდე არ არის აკადემიაში მოგვარებული.

აკადემიის პრეზიდიუმის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ჩვენ ქვეყანაში მეცნიერების განვითარების სტრატეგიის, კონცეფციის შექმნა. უკვე გამოქვეყნდა ქართული ენის, საქართველოს ისტორიის სახელმწიფო პროგრამები. სულ მალე გამოქვეყნდება ეკოლოგიის და სოფლის მეურნეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამათა პროექტები. მიუხედავად იმისა, რომ ეს სამუშაოები სპეციალისტთა მაქსიმალური მოზიდვით მიმდინარეობს, მაინც რჩება უკმარისობის გრძნობა იმის გამო, რომ ახალგაზრდა მეცნიერები მთელი შესაძლებლობებით არ არიან ამ საქმეში ჩართულნი. მეცნიერების მომავალზე ზრუნვა კი ამ საკითხის სწრაფად მოგვარების აუცილებლობას აყენებს დღის წესრიგში.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებების და ორგანიზაციების წარმომადგენელთა სათათბიროს შექმნა, ახალგაზრდა სპეციალისტების აკადემიის მიმდინარე პრობლემებში ჩართვის უთუოდ კიდევ ერთი კარგი ცდაა. სათათბიროს წევრები აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერებათა აკადემიის წინაშე მდგომი მთელი რიგი საკითხების პრინციპულ გადაჭრაში. იმედი მაქვს აკადემიის პრეზიდიუმის მიერ შექმნილ საატესტაციო კომისიასა და სათათბიროს შორის საქმიანი ურთიერთობის, — უმაღლესი სკოლის და რესპუბლიკის სხვა დაინტერესებულ უწყებებთან კოორდინაციის შედეგად, — შემუშავდება სამომავლო საატესტაციო დებულებას ოპტიმალური ვარიანტი.

ჩემის აზრით ამ მუშაობის მთავარი შედეგი მდგომარეობს იმის გააზრებაში, რომ საკითხის სწორ გადაწყვეტას დრო სჭირდება, გაცილებით მეტი დრო, ვიდრე ეს თავიდან იგეგმებოდა.

მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმისათვის ახალგაზრდა სამეცნიერო კადრების სოციალური უზრუნველყოფა ერთ-ერთ მთავარ საქმედ უნდა იქცეს. ცხადია, რომ ეს საკითხი ძალზე მწვავე, მტკივნეული და არც თუ ადვილად მოსაგვარებელია. ახალგაზრდა კადრებსა საბინაო პირობების გაუმჯობესება, მათი დროული დაწინაურება, ხელფასების შესაბამისად გაზრდა ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეცნიერების კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალგაზრდა ოჯახების გამრავლებასაც. ამიტომ აკადემიის მომავალი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი ეს მომენტიც უნდა გახდეს.

ცხადია, დროის სიმცირის გამო მე ვერ შევჩერდები ყველა საჭირობო საკითხზე, მაგრამ ვიმედოვნებ, რომ ნათქვამიდანაც ჩანს ის სირთულეები, მიღწევები და ნაკლოვანებები, რაც ჩვენს მუშაობას ახასიათებს და რომელთა გათვალისწინება მომავალში აუცილებელია. თუმცა ისიც არ არის გამორიცხული, რომ ახლო მომავალში სწორედ ის საკითხები გახდება უფრო საშუაო გადასაწყვეტი, რაზედაც დღეს უდროობის გამო ვერც კი მოვასწართ აქ საუბარი. ერთი კი ცხადია, ვიდრე ზემოჩამოთვლილ სირთულეებს მოვერევით უნდა შეიქმნას აკადემიის თანამედროვე მატერიალური ბაზა. ორი წლის წინათ, როდესაც მე ვთქვი, რომ საქართველოს მთავრობამ თვითონ უნდა უზრუნველყოს თავისი მეცნიერების დაფინანსება, წინადადება სრულიად მიუღებლად ქდებოდა. სულ ახლახანს კი მე წილად მხვდა ბედნიერება მონაწილეობა მიმეღო იმ კომისიის მუშაობაში, რომელიც სერიოზულად ფიქრობს საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების და მთელი ქართული მეცნიერების დაფინანსებას თვით რესპუბლიკის მიერ.

ორიოდე სიტყვა მინდა მოგახსენოთ მეცნიერების რეგიონული პრობლემების შესახებ. თუ ჩვენ მეცნიერების პრობლემებს ასე თუ ისე გადავწყვეტთ აფხაზეთში, ეს იმას ნიშნავს, რომ მეცნიერებათა აკადემიამ გარკვეულწილად მონაწილეობა მიიღო აფხაზეთში არსებული პრობლემების საერთო გადაწყვეტაშიც. მე და რამდენიმე ჩემი კოლეგა ვიყავით სოხუმის ბოტანიკურ ბაღში,

გავეცანით მის მუშაობას და გამოვთქვით მოსაზრება, რომ მომავალი ჩვენი საერთო სამუშაოები შეიძლება წარიმართოს ორივე მხარისათვის საინტერესო თემატიკის ფონზე, რომელსაც დააფინანსებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი, შექმნილი დროებითი კოლექტივების სახით. პირველად ეს წინადადება ვერ ვიტყვი, რომ მიღებული იყო ალტაცებით, მაგრამ გუშინ აფხაზეთიდან მიღებული წერილით გვაცნობეს, რომ წინადადება ყველამ გაიზიარა და აფხაზეთის ბოტანიკური ბაღის კოლექტივი უცდის ამ წინადადებების რეალიზაციას.

ანალოგიური წინადადებით მივმართეთ ბათუმის ბოტანიკურ ბაღს და ანასეულის ჩაის ინსტიტუტს, მათგან მივიღეთ სრული დასტური.

მე ამით მინდა დავამთავრო ჩემი გამოსვლა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის (ი. ფრანგიშვილის მოხსენება)

მე მინდა შევჩერდე მხოლოდ იმ პრობლემებზე, იმ საკითხებზე, რომლებზეც ვერ ნახეს ასახვა ბატონ პრეზიდენტის მოხსენებაში, აკადემიკოს-პლენის მოხსენებაში და იმ ანგარიშში, რომელიც თქვენ დაგირიგდათ. ამიტომ, ნება მომეცით ორიოდ სიტყვით მოგახსენოთ იმ პრობლემების შესახებ, რომლებიც ჩვენთვის ფრიად საინტერესოა და აკადემიის მუშაობისათვის ფრიად საჭირო.

თქვენ, მეგობრებო, ძალიან კარგად იცით რა დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს ეროვნული განვითარების მეცნიერული კონცეფციის შექმნას და თქვენ ყველანი მონაწილეობას იღებთ კონცეფციის შექმნასა და შემდგომ მის რეალიზებაში.

თქვენ იცით, რომ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი დღეს, აკადემიის და სხვა უწყებების მონაწილეობით, ამუშავებს საქართველოს ეროვნული განვითარების ისეთ ეკონომიკურ მოდელს, სადაც გათვალისწინებულია თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენი დარგობრივი სტრუქტურის ცვლა, რა უნდა გავაკეთოთ იმ შემთხვევაში, როდესაც არ გვეყოფა შემოტანილი ნავთობი, ან ხე-ტყე, ან ვთქვათ ენერჯია მიღებული სხვადასხვა რესპუბლიკებიდან, როგორ უნდა მოხდეს დარგების სტრუქტურული ცვლილებები, რა უნდა ვაკეთოთ, რომ საქართველოს ეკონომიკა არ დაიშალოს, რომ ჩვენმა ეკონომიკურად დამოუკიდებელმა საქართველომ შეძლოს თავისი ხალხის რჩენა და შეძლოს დამოუკიდებლად ყოფნა.

ასეთი ეკონომიკური მოდელი ძალიან რთულია, ძალიან დაძაბულია და გვიჩვენებს, რომ დღესდღეობით ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვართ, მაგრამ არსებობს აქედან გამოსვლის გზები, არსებობს ისეთი საშუალებები, რომელთა გამოყენება საქართველოს ეკონომიკას მისცემს ბევრ დადებითს და ჩვენი ერი შეძლებს საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ დონეზე ავიდეს, თუ ჩვენ ამ საკითხებს მეცნიერულად ჩავუდგებით სათავეში და, პირველ რიგში ჩვენს რესპუბლიკაში განვავითარებთ მეცნიერებატეკვად დარგებს.

აქ მინდოდა, მომეხსენებია თქვენთვის ეროვნული განვითარების კონცეფციის ირგვლივ, რომლის დამუშავებაში მონაწილეობას იღებს ჩვენი აკადემია. თქვენ იცით, რომ ეროვნული განვითარება და წინსვლა შეუძლებელია ენერგეტიკის განვითარების გარეშე. ეროვნული განვითარების კონცეფციაში უნდა ვაჩვენოთ, თუ როგორ და რა გზით უნდა მოხდეს საქართველოში ენერგეტიკის განვითარება, რომ მან ეკონომიკურად მაღალ დონეზე იარსებოს.



მეორე პრობლემა — რა უნდა გავაკეთოთ საქართველოში საზოგადოების ინფორმატიზაციის თვალსაზრისით იმისათვის, რომ საქართველომ იგრძნოს თავი როგორც ეკონომიკურად ძლიერმა რესპუბლიკამ და შეძლოს კარგად იარსებოს. როგორ უნდა განვავითაროთ ჩვენ ეკოლოგიური პრობლემა, რის შესახებაც ბატონმა გივი სანაძემ ილაპარაკა. ასეთი პრობლემა ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამიტომ, მე მინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა 2—3 პრობლემის ირგვლივ. დავიწყეთ საქართველოს საზოგადოების ინფორმატიზაციის პრობლემიდან. ჩვენმა აკადემიამ საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად, დაამთავრა ინფორმატიზაციის კონცეფციის შექმნა. ეს კონცეფცია უკვე დამტკიცდა საქართველოს მინისტრთა საბჭოში, რომელსაც ჰქვია საქართველოს საზოგადოების ინფორმატიზაციის კონცეფცია.

ორიოდე სიტყვა, რა არის ძირითადი სტრატეგიული მიმართულება, ძირითადი მნიშვნელობა ამ კონცეფციისა, რა გვინდა ამ კონცეფციით ავსახოთ, რა უნდა გავკეთდეს საქართველოში, რომ საზოგადოების ინფორმატიზაცია იყოს მაღალ დონეზე და საქართველომ მიაღწიოს გარკვეულ ეკონომიკურ წარმატებას: ძირითადი სტრატეგიული ხაზი ის არის, რომ საქართველოს ჰყავს საკმაოდ ძლიერი კადრები, ინტელექტუალურად მომზადებული კადრები (სხვა რესპუბლიკებთან შედარებით), ქართველი ერი არის მეტად ინტელექტუალური ერი, მას მეტად უყვარს გონებრივი აზროვნება და შრომა, ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ საქართველოში ვაგვევითარებინა ისეთი მეცნიერებატექნიკური დარგები, როგორცაა ინფორმატიზაციის დარგები, რომლებიც უზრუნველყოფენ ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს. ჩვენ ახლა ვსწავლობთ სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკურ განვითარებას, სამხრეთ კორეა, ტაივანი, სინგაპური, სადაც ხდება ეკონომიკური აღმავლობა. მე გუშინ ჩამოვედი სინგაპურიდან და მათი ეკონომიკური განვითარების მეცნიერული შესწავლა საშუალებას გვაძლევს, რომ ზოგიერთი დადებითი მხარე გამოვიყენოთ ჩვენ. მომავალი საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენ თუ განვავითარებთ ინფორმატიკის ისეთ დარგებს, როგორცაა რადიოტექნიკა, ელექტროტექნიკა, მიკროელექტრონიკა, კომპიუტერიზაცია, ხელსაწყოთმშენებლობა (მათ შორის სამედიცინო ხელსაწყოთმშენებლობა, კავშირგაბმულობის საშუალებანი) და სხვა ისეთი დარგები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ცოდნის შექმნასთან და კადრების მომზადებასთან, ჩვენ მაშინ შევძლებდით იმ მაგალითებზე, როგორც არის სინგაპურში, კორეაში, ტაივანში დაახლოებით 13—15%-ით ეკონომიკის ტემპების ზრდას, ე. ი. თუ ესენი იქნებოდნენ პრიორიტეტული დარგები, მაშინ ჩვენ შეგვეძლო ყველაზე მაღალი ტემპებისათვის მიგვედწია ჩვენი ეკონომიკის განვითარებაში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ არ უნდა განვავითაროთ მსუბუქი მანქანათმშენებლობა, პირველ რიგში მსუბუქი მრეწველობის მანქანათმშენებლობა, პროდუქტების გადამამუშავებელი მანქანათმშენებლობა, სოფლის მეურნეობის მანქანათმშენებლობა, ეს უნდა იყოს აუცილებლად, ეს თითქმის კლასიკური დარგებია, მაგრამ ინფორმატიკის განვითარება საქართველოში მოგვეცემა ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს. ამისათვის ჩვენ დავიწყეთ უცხო ფირმებთან მოლაპარაკება ერთობლივი წარმოების შექმნისათვის სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რათა შემოვიტანოთ უცხოური მაღალი ტექნოლოგია, თუ ჩვენ აქ არ გვექნა მაღალი ტექნოლოგია, ისეთი, როგორიც უცხოეთშია, ჩვენ ინფორმატიკის ვერცერთ დარგს ვერ განვავითარებთ და ვერავითარ წინსვლაზე ვერ ვილაპარაკებთ. ჩვენ შეგვიძლია უცხოურ ფირმებთან ერთად, მაგალითად, აკადემიის სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის საკონსტრუქტორო ბიუროში დავიწყეთ გამოშვება ახალი ტიპის ქართული პერსო-



ნალური კომპიუტერებისა, რომელიც დამუშავდება ერთობლივად ტექნიკური უნივერსიტეტისა და ამერიკის ფირმის სპეციალისტების მიერ. შეიქმნება ერთობლივი ინტელექტუალური პროდუქტი, ახალი ტიპის პერსონალური კომპიუტერი, რომელსაც ექნება ორი ოპერაციული სისტემა, მაკინტოშისა და იბმ-ის, ორი მიკროპროცესორი ინტედ 286(386) და მოტოროლა 6800(68000) და კარგი გამოყენება მეცნიერული კვლევების და დაპროექტების ავტომატიზაციის დარგებში. ეს იქნებოდა ჩვენი ერთობლივი ინტელექტუალური პროდუქტი, რომელსაც ჩვენ გამოვუშვებდით ჩვენს წარმოებაში სერიულად. ჩვენ, სპეციალისტები, შევქმნიდით საჭირო პროგრამებს და გამოვუშვებდით როგორც მთლიან პროგრამულ-ტექნიკურ პროდუქტს. ამ შემთხვევაში ერთობლივი პროდუქციის 50%-ს წაიღებდა უცხო ფირმა და 50%-ს დაგვიტოვებდა ჩვენ. არავითარი ვალუტა ამ შემთხვევაში ჩვენ არ დაგვიტოვებოდა. ამით ჩვენ ავწევდით პროდუქციის ხარისხს და კონკურენტუნარიანობას. მოველაპარაკეთ ჩვენ სხვადასხვა უცხოურ ფირმას ერთობლივი წარმოების შესაქმნელად ინფორმატიკის სხვადასხვა პროდუქტის ასათვისებლად.

ასევე განვიხილეთ ჩვენ, თუ როგორ უნდა განვითარდეს საქართველოში კავშირგაბმულობის საშუალებათა დამუშავება-ათვისება, კავშირგაბმულობის სხვადასხვა მოწყობილობები, ხელსაწყოთმშენებლობა და სხვ. გამოდის, რომ არის ისეთი უცხოური ფირმები — ამერიკის, იტალიის, ინგლისის, სინგაპურის და სხვა, რომლებიც ვალუტის გაცვლის გარეშე 50% პროდუქტს თვითონ წაიღებენ. ესაა ჩვენ გვინდა, რომ ინფორმატიზაციის კონცეფციის საფუძველზე შევქმნათ კონცეფციის რეალიზაციის პროგრამა. შევქმნათ საქართველოს ეკონომიკური განვითარების პროგრამა ინფორმატიკის დარგების განვითარების გათვალისწინებით. ჩემის აზრით, ეს იქნება მსგავსი იმისა, რაც დღეს ხდება სინგაპურში, სამხრეთ კორეაში, ტაივანში და სხვაგან. მინდა მოგახსენოთ, რომ სინგაპურის ეკონომიკის ზრდა მიმდინარეობს არნახული ტემპებით. ეს არის რაღაც გაუგებარი მომენტი, არავითარი სოფლის მეურნეობა არა აქვთ, ერთი კარტოფილი არ მოუწევიათ, არავითარი ნედლეული არა აქვთ, რესურსებიც არ ჰყოფნიან და ხალხიც არ ჰყოფნიან, რომლებიც მოჰყავთ სხვა ქვეყნებიდან. იმავე დროს იღებენ ტაილანდიდან, კორეიდან, იაპონიიდან ამ ახალ ტექნოლოგიებს, იღებენ მზა შემადგენელ ნაწილებს. შემდეგ კრეფენ მზა პროდუქტს, მთელი ამკრეფი საზოგადოებაა და 20% მოგება რჩება მათ, ქვეყანა ძალიან მდიდარია და კარგად ცხოვრობენ. კარგად მიმდინარეობს კავშირგაბმულობის აპარატურის აწყობა, კომპიუტერების აწყობა, სამედიცინო ხელსაწყოების, ვიდეომაგნიტოფონების და სხვა პროდუქციის აწყობა. ეს გზა მზა ინტელექტუალური პროდუქტის შექმნის გზაა. იგი ძალიან მომგებიანია, რაც ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ.

შემდეგი საკითხი, რომელსაც აკადემიამ ყურადღება უნდა მიაქციოს არის ენერგეტიკის განვითარების საკითხი. ჩვენ ძალიან ცუდ მდგომარეობაში ვართ. აქ არიან ჩვენი ენერგეტიკოსი სპეციალისტები, რომელთაც ახსოვთ, რომ ჩვენმა აკადემიამ სპეციალურად 20 აპრილს მოაწყო აკადემიის სესია ენერგეტიკის განვითარებასთან დაკავშირებით, რომ დავინახოთ თუ რა ენერგეტიკულ კრიზისში ვართ ჩვენ, რა გველის ახლო მომავალში, საით უნდა წავიდეთ, რომ ჩვენმა საზოგადოებამ და ერმა ნორმალურად იარსებოს. თქვენ კარგად იცით, რომ ენერგეტიკის განვითარების გარეშე არც მეცნიერება განვითარდება, არც კულტურა და არც წარმოება. ენერგეტიკის გარეშე არავითარი წინსვლა არ შეიძლება არც სოფლის მეურნეობაში, არც მრეწველობაში და არც მეცნიერებაში. ამიტომ ამ საკითხს ჩვენ უნდა მოვუაროთ. დღეს ჩვენზე ცუდად თითქმის

არავინ არის. იყენენ ძირითადი მომხსენებლები აკადემიიდან გვიცი სვანიძე, ვახტანგ გომელაური, მოვიწვიეთ გიორგი ჩოგოვაძე და სხვა სპეციალისტები. საქართველოს კარგი და ძლიერი ენერგეტიკის სპეციალისტები ჰყავს, ვხედავთ, რომ საქართველოში ენერჯის მოხმარება საშუალოდ თითო სულ მოსახლეზე 3000 კვტ. საათი მოდის. ეს არის ძლიერ მცირე, ამაზე დაბალი დონე ენერჯის მოხმარებისა ერთ სულ მოსახლეზე თითქმის ძნელია მოიძებნოს მსოფლიოში. ევროპაში ერთ სულ მოსახლეზე მოხმარდება 10 ათასი კვტ. ს. აშშ-ში მოდის 14 ათასი კვტ. ს. ე. ი. ჩვენში 5-ჯერ ნაკლები ენერჯია მოიხმარება, ვიდრე აშშ-ში. თუ ასეთ დღეში დავრჩებით რა ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე შეგვიძლია ვიფიქროთ, რის ეკონომიკურ განვითარებაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ, ამიტომ უნდა გადაწყდეს საკითხი, როგორ გამოვიდეთ ამ კრიზისული მდგომარეობიდან. საქართველოს, ღვთის წყალობით, ყველაზე მდიდარი ჰიდროენერგეტიკული რესურსები აქვს. იმ ანგარიშით, რომელიც ჩვენმა მეცნიერებმა ჩაატარეს და იმის გათვალისწინებით, რომ დღეც უკვე მზად არის ასათვისებლად, ახალი საშუალო და პატარა ჰიდროსადგურების აშენება და მწყობრში ჩადგომა გაზრდის ელექტროენერჯიას თითო სულზე 15 ათას კვტ. ს. ამით ამერიკას გავუსწრებთ წინ, ცხადია, თუ ისინი გაჩერდებიან. დღეს გვაქვს 3 ათასი კვტ. ს. და შეგვიძლია მივიღოთ 15 ათასი კვტ. ს. 2000 წლისათვის შესაძლებელი იქნებოდა; რომ 9 ათასი დავიტოვოთ ჩვენ და 5 ათასი გავცვალოთ ვალუტაში თურქეთთან ან სხვა ქვეყნებთან, რაც დაახლოებით 500 მლნ დოლარს მოგვითმარდა.

ასეთი უდიდესი სიმდიდრე, რომელიც რესპუბლიკას აქვს და მისგან მხოლოდ 12%-ს ვიყენებთ, ჯერ არავის აქვს. გასაოცარია, რომ ასეთი მაღალი კულტურის ერი ასეთ სიმდიდრეს თვითონ ვერ იყენებს. ამიტომ საჭიროა, რომ დავსახოთ ძირითადი მიმართულება ჩვენი ენერგეტიკული რესურსების ათვისება-განვითარებისა. მაშინ შეგვიძლია ჩვენ დაინახოთ ჩვენი ერის რეალური ეკონომიკური დამოუკიდებლობა, ჩვენი ერის წინსვლა, ეკონომიკის მაღალი ევროპული დონე.

დიდმნიშვნელოვანი პრობლემა, რომელიც ჩვენ ყველას გვაწუხებს, მეგობრებო, და საზოგადოებაც დაინტერესებულია, ეს არის არატრადიციული ენერგეტიკის გამოყენების პრობლემა, ამის ირგვლივაც ჩვენ გვქონდა მსჯელობა, ესაა მზის, ქარის, ზღვის ენერჯია. არატრადიციული ეკოლოგიურად სუფთა ენერგეტიკა მოგვცემს სულ 5—10%-ს ენერგეტიკულ ბალანსში, მაგრამ ესეც ძალიან კარგია, ამიტომ მის განვითარებაზეც ვისაუბრებთ როგორი ვზით უნდა წავიდეს ჩვენი საქართველო. საქართველო უნდა წავიდეს ჩვენი საკუთარი ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისა და განვითარების ვზით, ამ სიმდიდრის მაქსიმალური გამოყენება უნდა მოხდეს.

ორიოდე სიტყვა ჩვენი აკადემიის საკვლევი სამუშაოების ავტომატიზაციის პრობლემების ირგვლივ. ეს პრობლემა დიდმნიშვნელოვანია. კარგად იცით, თუ მეცნიერული კვლევები არ იქნა ავტომატიზებული, ჩვენ შორს ვერ წავალთ. დიდ მეცნიერულ მიღწევებზე ვერ ვილაპარაკებთ. ეს, ცხადია, გამოწვეულია იმით, რომ ჩვენ აკადემიაში ჯერჯერობით ცოტა კომპიუტერები გვაქვს, თითქმის 200-მდე უცხოური პერსონალური კომპიუტერი შევიძინეთ, ეს კარგი ნაბიჯია, მაგრამ ჩვენ დღეს გვჭირდება 1000 ცალი პერსონალური კომპიუტერი, რომ ყოველ ლაბორატორიაში ერთი ან ორი კომპიუტერი დაგვყენოთ. თქვენ რომ უცხო ქვეყანაში, თუნდაც ჩინეთში, თქვათ, რომ ჩვენს ლაბორატორიაში არ არის ერთი ან ორი კომპიუტერი არ დაიჭერებენ. ევროპა და საერთოდ უცხოეთი არ დაიჭერებს, მაგრამ ასეა, ჩვენ უნდა დავიჭეროთ, რაც გვაქვს.

ე. ი. ჩვენ რომ ერთი ან ორი დავაყენოთ და გავაკეთოთ კვლევების ავტომატიზაცია, გვჭირდება 1000-მდე კომპიუტერი, გვაქვს კი 200, ე. ი. მხოლოდ მეხუთედი. კიდევ უნდა ვიბრძოლოთ, შევეცადოთ, რომ ერთიანი ძალით მაინც შევიძინოთ კომპიუტერები, მათი პროგრამები და დაეწყოთ მათი გამოყენება. იმ 200 კომპიუტერიდან, რომელიც შევიძინეთ, ზოგიერთმა ორგანიზაციამ დაიწყო მისი კარგად გამოყენება, მაგრამ აკადემიის ზოგიერთ ორგანიზაციას ჯერ არც კი გაუხსნია და არც დაცვის სიგნალიზაცია გაუქებია. ეს ცხადია, უარყოფითი მხარეა და ამას სასწრაფოდ უნდა მოვუაროთ.

მე მგონია, რომ ჩვენი აკადემიის მუშაობა უნდა გაიშალოს ამ სამი პრობლემის ირგვლივ და ამასთან ძალების გაერთიანება მეტად საჭიროა, თუმცა არ უნდა მოხდეს ჩვენი აკადემიის და ჩვენი მრეწველობის კალმბრივი განვითარება, მაგრამ საჭიროა მაინც შევარჩიოთ და გამოვეყოთ პრიორიტეტული დარგები, რომლებიც ჩვენი ეკონომიკის ზრდის ყველაზე მაღალ ტემპებს განაპირობებენ.

*
* *

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებამ მოხსენებებსა და გამოსვლებში წამოჭრილი პრობლემების გათვალისწინებით შეიმუშავა ღონისძიებანი ფუნდამენტური გამოკვლევების შემდგომი განვითარების, გამოყენებითი ხასიათის კვლევა-ძიების გაფართოებისა და კვლევის შედეგების პრაქტიკაში გამოყენების დაჩქარებისათვის.

კრებამ დაავალა სამეცნიერო განყოფილებებსა და დაწესებულებებს, ფუნდამენტური გამოკვლევების პრიორიტეტული მნიშვნელობიდან გამომდინარე, უზრუნველყონ ფუნდამენტური კვლევის პროგრამებით, აგრეთვე სახელმწიფო და რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამებით გათვალისწინებულ სამუშაოთა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულება და მომდევნო წლებში აღნიშნული პროგრამების დამუშავებაში აქტიური მონაწილეობის მიღება. ამასთანავე კრებამ მოითხოვა, რომ სამეცნიერო განყოფილებებმა და ფუნდამენტური კვლევის პროგრამების სამეცნიერო საბჭოებმა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმების შედგენისას მკაცრად დაიცვან თემების საკონკურსო შერჩევისა და მათი მიზნობრივი დაფინანსების პრინციპი.

საერთო კრებამ ცნობად მიიღო, რომ უახლოეს დროში სამეცნიერო განყოფილებები დაამთავრებენ რესპუბლიკაში მეცნიერების განვითარების კონცეფციის შემუშავებას.

დასახულ ღონისძიებებში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო აკადემიის პრეზიდიუმის, სამეცნიერო განყოფილებებისა და დაწესებულებათა მუშაობის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების, მეცნიერული კვლევის ავტომატიზაციისა და კომპიუტერიზაციის ფართოდ დანერგვის საკითხებს.

კრებამ დაავალა სახელმწიფო სამეცნიერო საატესტაციო საბჭოების დებულებების შემუშავებელ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კომისიას დააჩქაროს საქართველოს სამეცნიერო კადრების ატესტაციის დებულების წარმოდგენა.

საერთო კრებამ მიიღო აგრეთვე აკადემიის სამეცნიერო და სამეცნიერო-საორგანიზაციო საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები.

Годичное общее собрание Академии наук Грузинской ССР с учетом поднятых в докладах и выступлениях проблем выработало мероприятия, направленные на дальнейшее развитие фундаментальных исследований, расширение прикладных работ и ускорение практического использования научных разработок.

Исходя из приоритетного значения фундаментальной науки, собрание поручило научным отделениям и учреждениям обеспечить высокий уровень разработки проблем, предусмотренных программами фундаментальных исследований, а также государственными и республиканскими научно-техническими программами, принять активное участие в составлении таких программ на последующие годы. При этом собрание потребовало от научных отделений и научных советов по программам фундаментальных исследований строго соблюдать при их составлении принцип конкурсного подбора тем и целевого финансирования научно-исследовательских работ.

Общее собрание приняло к сведению, что научные отделения в ближайшее время завершат разработку концепции развития науки в республике.

В намеченных мероприятиях особое внимание президиума, научных отделений и учреждений академии обращено на необходимость дальнейшего усиления работы по укреплению материально-технической базы, широкому внедрению автоматизации научных исследований и компьютеризации.

Собрание поручило комиссии Академии наук ГССР по разработке положения о государственных аттестационных советах ускорить представление положения об аттестации научных кадров.

Общее собрание приняло также решения, связанные с дальнейшим улучшением научной и научно-организационной работы академии.





მეცნიერთა იუბილეები
ЮБИЛЕИ УЧЕНЫХ



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ნოდარ სარდიონის ძე ამალღობელს 60 წელი შეუსრულდა.

Академику АН ГССР Нодару Сардионовичу Амаглобели исполнилось 60 лет.

ნოდარ სარდიონის ძე ამალღობელი დაიბადა 1930 წ. 24 აგვისტოს ქ. თბილისში, მოსამსახურის ოჯახში. 1948 წ. ქობულეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე.

1953 წ. ნ. ამალღობელმა წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. ასპირანტურის კურსი გაიარა ქ. დუბნის ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში, სადაც 1962 წ. დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1976 წ. სადოქტორო დისერტაცია.

1957—1962 წწ. მუშაობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტში. 1962 წლიდან მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც მისი ხელმძღვანელობით 1973 წ. ჩამოყალიბდა მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი პრობლემატიკის ლაბორატორია. ამ ლაბორატორიის საფუძველზე 1979 წ. შეიქმნა თსუ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი, რომლის დირექტორი დღემდე არის ნ. ამალღობელი. 1981 წ. დაინიშნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორად სამეცნიერო დარგში, ხოლო 1985 წლიდან თსუ რექტორია.

1979 წ. ნ. ამალღობელი არჩეულ იქნა საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წ. აკადემიის ნამდვილ წევრად.

ნ. ამალღობელი ცნობილი ფიზიკოს-ექსპერიმენტატორია. მისმა შრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკის განვითარებაში. მისი ხელმძღვანელობით აღიზარდა მაღალი ენერგიების ფიზიკის დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მთელი პლეადა. ფართოდ ცნობილია მისი შრომები პი-მეზონ-ნუკლონური ურთიერთქმედების მუდმივად განსაზღვრისა და პადრონულ ურთიერთქმედებებში ნაწილაკთა მრავლობითი წარმოქმნის საკითხებზე. ფუნდამენტური ხასიათის გამოკვლევებისათვის 1976 წ. მას მიენიჭა პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია.

ნ. ამალღობელის უშუალო ხელმძღვანელობით და მისი ორიგინალური მეთოდის საფუძველზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ამაჩქარებლებზე დასხივებული ტრეკული დეტექტორებიდან მიღებული ინ-

ფორმაციის დამამუშავებელი ცენტრი, ერთ-ერთი პირველთაგანი სსრკ უმაღლეს სასწავლებლებს შორის.

განსაკუთრებით საინტერესოა ნ. ამაღლობელის მიერ თანამშრომლებთან ერთად ჩატარებული ახალი რეზონანსების ძიების სამუშაოები. შრომათა ციკლს „ფარული უცნაურობის მქონე ვიწრო ბარიონული რეზონანსის დამხვრა და გამოკვლევა“ 1986 წ. საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

ფართო მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად ნ. ამაღლობელი აქტიურ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმიანობას ეწევა.

ნ. ამაღლობელი არის რესპუბლიკის უმაღლესი სკოლების რექტორთა საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის უნივერსიტეტების ასოციაციის პრეზიდენტის წევრი, სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ტექნიკის მათემატიკური მოდელრების, სამეცნიერო-კვლევითი ავტომატიზაციისა და სამეცნიერო ხელსაწყოთმშენებლობის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელი კომიტეტის წევრი, საქართველოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს წევრი.

ნ. ამაღლობელი დაჯილდოებულია „საპატიო ნიშნის“ ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

Нодар Сардионович Амаглобели родился 24 августа 1930 г. в г. Тбилиси в семье служащего. После окончания средней школы в городе Кобулеті продолжил учебу на физическом факультете Тбилисского государственного университета.

В 1953 г. Н. С. Амаглобели с отличием окончил физический факультет Тбилисского государственного университета. Курс аспирантуры он прошел в Объединенном институте ядерных исследований в г. Дубне, где защитил кандидатскую диссертацию в 1962 г., а докторскую — в 1976 г.

В 1957—1962 гг. работал в Институте физики АН ГССР. С 1962 г. работает в Тбилисском государственном университете, где по его инициативе в 1973 г. создана научно-исследовательская проблемная лаборатория ядерной физики высоких энергий. На базе этой лаборатории в 1979 г. создан Институт физики высоких энергий. По настоящее время Н. С. Амаглобели является директором этого института. В 1981 г. он был назначен проректором по научной части Тбилисского государственного университета, а в 1985 г. — ректором ТГУ.

В 1979 г. Н. С. Амаглобели был избран членом-корреспондентом АН ГССР, а в 1988 г. — действительным членом АН ГССР.

Н. С. Амаглобели — известный ученый физик-экспериментатор, работы которого внесли существенный вклад в развитие физики элементарных частиц. Под его руководством воспитана целая плеяда высококвалифицированных специалистов по физике высоких энергий.

Широко известны его труды по определению постоянной Пи-мезон-нуклонного взаимодействия и множественного рождения частиц в адронных взаимодействиях. В 1976 г. за исследования фундаментального характера ему была присуждена премия им. П. Г. Меликишвили.

Под непосредственным руководством Н. С. Амаглобели и на основе его оригинальных методических разработок в Тбилисском госу-

дарственном университете создан один из первых среди вузов страны центр по обработке информации от трековых детекторов, облучаемых на ускорителях заряженных частиц.

Особенно интересны работы, выполненные Н. С. Амаглобели совместно с сотрудниками по поиску новых резонансов. Цикл работ «Обнаружение и исследование узкого барионного резонанса со скрытой странностью» в 1986 г. был отмечен Государственной премией СССР.

Наряду с большой научной и педагогической работой, Н. С. Амаглобели ведет активную общественную и государственную деятельность.

Н. С. Амаглобели является председателем Совета ректоров высших учебных заведений СССР, членом президиума университетских ассоциаций СССР, председателем Научно-технического совета по вычислительной технике, математическому моделированию, автоматизации научных исследований и научного приборостроения АН СССР, членом Комитета по Государственным премиям СССР. В настоящее время он является членом Верховного Совета СССР, ЦК КПСС и ЦК КП Грузии.

Н. С. Амаглобели награжден орденами «Знак Почета» и Трудового Красного Знамени.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე ვახანიას 60 წელი შეუსრულდა.

Члену-корреспонденту Академии наук Грузинской ССР Николаю Николаевичу Вахания исполнилось 60 лет.

ნ. ვახანია დაიბადა 1930 წ. 28 აგვისტოს ქ. ქუთაისში. 1954 წ. მან წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტი. 1954—1957 წლებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის ასპირანტურაში სწავლის დროს, აკადემიკოს ნ. მუსხელიშვილის რეკომენდაციით, ის მიაღწინეს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, სადაც ვაიარა ასპირანტურის კურსი აკადემიკოს ს. სობოლევის ხელმძღვანელობით: მან იქვე 1958 წ. დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, ხოლო 1969 წ. სადოქტორო დისერტაცია; 1971 წ. მას მიენიჭა პროფესორის წოდება.

1957 წლიდან ნ. ვახანია მუშაობს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში (ახლა ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტი) ჯერ უმცროს მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო 1961 წლიდან მათემატიკური კიბერნეტიკის განყოფილების ხელმძღვანელად.

1979 წლიდან დღემდე ნ. ვახანია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნ. მუსხელიშვილის სახელობის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორია.

1988 წ. ნ. ვახანია აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად.

ნ. ვახანია ეწევა აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას. 1970—1973 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კიბერნეტიკისა და გამოყენებითი ფაკულტეტის დეკანი; 1971 წლიდან დღემდე ის არის ამავე ფაკულტეტის შემთხვევით პროცესთა თეორიის კათედრის გამგე.

ნ. ვახანია 60-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია მათემატიკური ფიზიკის განტოლებებში, ფუნქციონალურ ანალიზში, ზომის თეორიასა და ალბათობის თეორიაში; მათ შორისაა ორი მონოგრაფია „ალბათური განაწილებანი წრფოვ სივრცეებში“ (1971 წ.) და „ალბათური განაწილებანი ბანახის სივრცეებში“ (1985). ეს უკანასკნელი დაწერილია მის მოწაფეებთან ს. ჩობანიანთან და ვ. ტარიელაძესთან ერთად. ორივე მონოგრაფია თარგმნილია ინგლისურად და გამოცემულია აშშ-ში და ჰოლანდიაში. ნ. ვახანიამ მოამზადა ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერებათა 4 დოქტორი და 10 კანდიდატი. ნ. ვახანია მრავალგზის იყო მიწვეული აშშ-ს, იაპონიის, იტალიის, პოლონეთის, ინდო-

ეთის, ვღრ-ს და სხვა წამყვან სამეცნიერო ცენტრებში ლექციების წასაკითხად და ერთობლივი სამეცნიერო მუშაობის ჩასატარებლად.

მრავალმხრივია ნ. ვახანიას საზოგადოებრივი საქმიანობა. ის არის სახალხო დემუტატთა თბილისის საქალაქო საბჭოს დემუტატთა, ხელმძღვანელობს ინფორმატიკისა და გამოთვლით ტექნიკაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო-სასწავლო კომპლექსს, არის ქართული ენციკლოპედიის მათემატიკის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სპეციალიზებული სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, მრავალი გამომცემლობის რედკოლეგიის წევრი როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთ. ნ. ვახანიას მნიშვნეული აქვს საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

ნ. ნ. Вахания родился 28 августа 1930 г. в г. Кутаиси. В 1954 г. с отличием окончил физический факультет Тбилисского государственного университета. В 1954—1957 гг., будучи аспирантом Института математики им. А. М. Размадзе АН ГССР, по рекомендации академика Н. И. Мухелишвили был командирован в МГУ на механико-математический факультет, где прошел курс аспирантуры под руководством академика С. Л. Соболева. Там же в 1958 г. защитил кандидатскую диссертацию. Докторскую диссертацию защитил в 1969 г. В 1971 г. ему было присвоено звание профессора.

С 1957 г. н. н. Вахания работает в Вычислительном центре АН ГССР (сейчас Институт вычислительной математики им. Н. И. Мухелишвили АН ГССР) сначала младшим научным сотрудником, а с 1961 г. — руководителем отдела математической кибернетики.

С 1979 г. по настоящее время н. н. Вахания — директор Института вычислительной математики им. Н. И. Мухелишвили АН ГССР.

В 1988 г. н. н. Вахания был избран членом-корреспондентом Академии наук Грузинской ССР.

н. н. Вахания ведет активную педагогическую работу. В 1970—1973 гг. был деканом факультета кибернетики и прикладной математики Тбилисского государственного университета. С 1971 г. по настоящее время является заведующим кафедрой теории случайных процессов этого же факультета.


н. н. Вахания является автором более 60 научных работ по уравнениям математической физики, функциональному анализу теории меры и теории вероятностей. Среди них две монографии — «Вероятностные распределения в линейных пространствах» и «Вероятностные распределения в банаховых пространствах» (1985 г.) (последняя написана совместно с его учениками В. И. Тариеладзе и С. А. Чобаяном). Обе монографии переведены в США и Голландии на английский язык. н. н. Вахания подготовил четырех докторов и 10 кандидатов наук. н. н. Вахания неоднократно приглашался в ведущие научные центры США, Японии, Италии, Польши, Индии, ГДР и др. для чтения лекций и проведения совместных научных исследований.

Многогранна общественная деятельность н. н. Вахания. Он депутат Тбилисского городского Совета народных депутатов. Руководит



научно-учебным комплексом по информатике и вычислительной технике АН ГССР. Является председателем научного совета по математике редакции Грузинской энциклопедии, председателем специализированного ученого совета, членом редколлегий многих издательств как у нас в стране, так и за рубежом. Н. Н. Вахания присвоено почетное звание заслуженного деятеля науки Грузинской ССР.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს ჯუმბერ გიორგის ძე ლომინაძეს 60 წელი შეუსრულდა.

Академику Академии наук Грузинской ССР Джумберу Георгиевичу Ломинадзе исполнилось 60 лет.

ჯ. ლომინაძე დაიბადა 1930 წლის 20 სექტემბერს ქ. თბილისში. ოქროს მედალზე დაამთავრა ვაჟთა VI საშუალო სკოლა. მ. ლომონოსოვის სახ. მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ (1955 წ.) 3 წლის განმავლობაში მუშაობდა ურალში, ქ. ჩელიაბინსკის ერთ-ერთ დახურულ ობიექტზე, სადაც მონაწილეობდა ქვეყნის თავდაცვითი სამუშაოების პროგრამის შესრულებაში. 1958 წლიდან ჯ. ლომინაძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტშია — ჯერ უმცროსი მეცნიერ თანაშრომლის, ხოლო 1962—73 წლებში — სწავლული მდივნის თანამდებობაზე. 1973 წლიდან იგი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში მუშაობს ჯერ პრეზიდენტის სწავლულ მდივნად, 1974 წლიდან აკადემიის აკადემიკოს-მდივნის მოადგილედ, ხოლო 1982 წლიდან დღემდე ჯ. ლომინაძე აკადემიის მათემატიკისა და ფიზიკის განყოფილების აკადემიკოს-მდივანია. პარალელურად 1964 წლიდან მოღვაწეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის თანამდებობაზე, კითხულობს ლექციებს, ხელმძღვანელობს პლაზმის ფიზიკის თეორიულ ჯგუფს უნივერსიტეტის ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში.

ჯ. ლომინაძემ 1964 წელს დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1974 წელს სადოქტორო დისერტაცია. 1979 წელს იგი აირჩიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად.

ჯ. ლომინაძე პლაზმის ფიზიკისა და პლაზმური ასტროფიზიკის გამოჩენილი სპეციალისტია. მისი სამეცნიერო მოღვაწეობა პირობითად შეიძლება ორ ეტაპად დაიყოს. პირველი ეტაპი ეხება პლაზმის ფიზიკის თეორიას (მართვადი თერმობირთვული რეაქციები, კოლექტიური მოვლენები ტოკამაკში, ციკლოტრონული ტალღები და სხვ.), ხოლო მეორე — კვლევას მეცნიერების ახალ დარგში — პლაზმურ ასტროფიზიკაში, რომელიც პლაზმის ფიზიკისა და ასტროფიზიკის მიჯნაზე შეიქმნა. პლაზმაში მიმდინარე ელექტრომაგნიტური მოვლენების მრავალი წლის ინტენსიური კვლევის შედეგად ჯ. ლომინაძემ შექმნა ელექტრონული ციკლოტრონული ტურბულენტობის თეორია. ამ მიმართულებით მიღებული შედეგები თავმოყრილია მის მონოგრაფიაში „ციკლოტრონული ტალღები პლაზმაში“, რომელიც 1981 წელს ინგლისურ ენაზე გამოსცა გამომცემლობა „პერგამონ პრესმა“.

1976 წელს ჯ. ლომინაძის ინიციატივით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმნის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში ჩამოყალიბდა თეორიული ასტროფიზიკის განყოფილება. ჯ. ლომინაძემ და მისმა თანამშრომლებმა საფუძველი ჩაუყარეს ახალ მიმართულებას — ელექტრონული-პოზიტრონული პლაზმის ელექტრომაგნიტურ თეორიას, რომლის საფუძველზე აგებულია კიბორჩხალას ნისლეულში მყოფი პულსარის გამოსხივების მოდელი და გამოკვლეულია შავი ხვრელების მახლობლად მიმდინარე ფიზიკური პროცესები. განყოფილებაში მომზადდა 9 საკანდიდატო და 3 სადოქტორო დისერტაცია.

ჯ. ლომინაძის ინიციატივით ორგანიზებულია კოსმოსურა პლაზმის შემსწავლელი ვარენა (იტალია) — აბასთუმნის საერთაშორისო სკოლა, რომლის დირექტორიც იგი არის საბჭოთა კავშირის მხრიდან. 1986 წლიდან სკოლა მონაცვლეობით ტარდება საქართველოსა და იტალიაში. იაპონელ მეცნიერთა წინადადებით შემდეგი სკოლის ჩატარება უკვე დაგეგმილია იაპონიაში.

Д. Г. Ломинадзе родился в г. Тбилиси 20 сентября 1930 г. После окончания в 1955 г. физического факультета МГУ им. М. В. Ломоносова в течение 3 лет работал на Урале, на одном из закрытых объектов г. Челябинска, где принимал участие в выполнении работ по программе обороны страны. С 1958 г. Д. Г. Ломинадзе работает в Институте физики АН Грузинской ССР — сначала в должности младшего научного сотрудника, а в 1962—1973 гг. — ученого секретаря института. С 1973 г. деятельность Д. Г. Ломинадзе связана с президиумом АН ГССР. Сначала он работает ученым секретарем президиума, с 1974 г. — заместителем академика-секретаря академии, а с 1982 г. по настоящее время Д. Г. Ломинадзе — академик-секретарь отделения математики и физики АН ГССР. Параллельно с 1964 г. он занимается педагогической деятельностью в Тбилиском государственном университете, где читает лекции и руководит группой теоретиков по физике плазмы в ИПМ им. И. Н. Векуа.

Д. Г. Ломинадзе в 1964 г. защитил кандидатскую, а в 1974 г. — докторскую диссертацию. В 1979 г. он был избран членом-корреспондентом, а в 1988 г. — действительным членом АН ГССР.


Д. Г. Ломинадзе — видный специалист по физике плазмы и плазменной астрофизике. Его научную деятельность условно можно разделить на два этапа. Первый охватывает теорию физики плазмы (управляемые термоядерные реакции, коллективные явления в токамаке, циклотронные волны и др.), а второй — исследование в новой области науки — плазменной астрофизике, возникшей на стыке физики плазмы и астрофизики. В результате интенсивного исследования на протяжении многих лет электромагнитных явлений, протекающих в плазме, Д. Г. Ломинадзе создал теорию электронно-циклотронной турбулентности. Полученные в этом направлении результаты вошли в его монографию «Циклотронные волны в плазме», изданную в 1981 г. на английском языке издательством «Пергамон пресс».

В 1976 г. по инициативе Д. Г. Ломинадзе в Абастуманской астрофизической обсерватории было создано отделение теоретической астрофизики. Д. Г. Ломинадзе и его сотрудники заложили основу новому научному направлению — электромагнитной теории электронно-пози-

тронной плазмы, на основе которой построена модель излучения пульсара, находящегося в Крабовидной туманности, и исследованы физические процессы, протекающие вблизи черных дыр. В отделении подготовлены девять кандидатских и три докторские диссертации.

По инициативе Д. Г. Ломинадзе организована Варена (Италия)-Абастуманская международная школа по изучению космической плазмы, директором которой он является с советской стороны. С 1986 г. школа поочередно проводится в Грузии и в Италии. По предложению японских ученых проведение следующей школы уже запланировано в Японии.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **ლეო კალისტრატეს ძე გაბუნიას** 70 წელი შეუსრულდა.

Академику Академии наук Грузинской ССР **Лео Калистратовичу Габуния** исполнилось 70 лет.

ლ. გაბუნია დაიბადა 1920 წლის 13 სექტემბერს ქ. ირკუტსკში. 1944 წელს დაამთავრა საქართველოს ინდუსტრიული ინსტიტუტის სამთო ფაკულტეტი, შემდეგ სწავლობდა ამავე ინსტიტუტის ასპირანტურაში. 1946 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1951 წლიდან მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პალეობიოლოგიის სექტორში. 1957 წელს სათავეში ჩაუდგა პალეობიოლოგიის ინსტიტუტის ხერხემლიანთა პალეობიოლოგიის განყოფილებას. 1953 წელს ლ. გაბუნიამ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია, 1959 წელს მიენიჭა პროფესორის სამეცნიერო წოდება. 1961 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, 1969 წელს — აკადემიის ნამდვილ წევრად.

1977—1989 წლებში ლ. გაბუნია პალეობიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო, ხოლო 1989 წლიდან — საპატიო დირექტორი.

1976—1988 წლებში ლ. გაბუნია ხელმძღვანელობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილებას. 1988 წლიდან საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანია.

ლ. გაბუნია ერთ-ერთი წამყვანი სპეციალისტია ხერხემლიანთა პალეონტოლოგიისა და მესამეულის სტრატეგრაფიის დარგში. იგი 200-მდე (9 მონოგრაფია) სამეცნიერო ნაშრომის ავტორია, რომელთა შორის აღსანიშნავია კვლევები ძუძუმწოვართა პალეობიოლოგიისა და კონტინენტური კაინოზოურის ბიოსტრატეგრაფიაში. ამ კვლევებს მიეკუთვნება მონოგრაფია საბჭოთა კავშირის პიპარიონთა შესახებ, ბენარას ოლიგოცენური ძუძუმწოვრების ფაუნის აღმოჩენა და პირველადწერა, ბელომეჩეტსკაის ფაუნის და ჩოკრაკული ძუძუმწოვრების მონოგრაფიული აღწერა, ევრაზიის ძუძუმწოვართა კაინოზოური ფაუნის ბიოსტრატეგრაფიული პარალელიზაციისა და ისტორიის საკითხები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ევოლუციური მოძღვრების ისეთი თეორიული საკითხების დამუშავება, როგორცაა ევოლუციური პროგრესი, ორგანიზმების ამოწყდომა და სხვ.

ლ. გაბუნიას მიერ შესწავლილია ევოლუციის თეორიის კლასიკოსების მემკვიდრეობა, კერძოდ მას ეკუთვნის ცნობილი ბელგიელი ევოლუციონისტის ლუი დოლის ცხოვრებისა და მეცნიერული მემკვიდრეობის მონოგრაფიული გამოკვლევა, აღსანიშნავია ლ. გაბუნიას სამეცნიერო-პოპულარული წიგნები

სათაფლიის დინოზავრების ნაკვალევებისა და ბენარის ნამარხი ცხოველების შესახებ, ქვაბების გიგანტური დამანებისა და ტარიბანის სპილოს შესახებ და სხვ. ლ. გაბუნია აქტიურ პედაგოგიურ მუშაობას ეწევა.

ლ. გაბუნია 1979 წლიდან არის იუნესკოს ვრძელვადიანი საერთაშორისო პროგრამის „ადამიანი და ბიოსფერო“ (მაბ) საქართველოს ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარე. საქართველოს გეოლოგიური საზოგადოების პრეზიდენტი, არის რიგი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებისა თუ ორგანიზაციის წევრი, საკავშირო ტერიოლოგიური საზოგადოების საპატიო წევრი და ადამიანის პალეონტოლოგიის საერთაშორისო საზოგადოების დამფუძნებელი წევრი, ქართული ენციკლოპედიის სარედაქციო კოლეგიის წევრი და საქართველოს, მრავალი საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალის სარედაქციო საბჭოების წევრი, აკადემიის სამეცნიერო-პოპულარული სერიის „ათინათი“-ს სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე, საქართველოს რუსთაველის საზოგადოების გეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე.

Л. К. Габуния родился 13 сентября 1920 г. в г. Иркутске. В 1944 г. он окончил горный факультет Грузинского индустриального института, затем учился в аспирантуре. В 1946 г. защитил кандидатскую диссертацию. С 1951 г. начал работать в Секторе палеобиологии АН Грузии. В 1957 г. возглавил отдел палеобиологии позвоночных Института палеобиологии. В 1953 г. Л. К. Габуния защитил докторскую диссертацию, в 1959 г. ему было присвоено звание профессора.

В 1961 г. Л. К. Габуния был избран членом-корреспондентом, в 1969 г. — действительным членом АН Грузии.

В 1977—1989 гг. он был директором Института палеобиологии, с 1989 г. — почетный директор.

В 1976—1988 гг. Л. К. Габуния руководил отделением биологии АН Грузии, с 1988 г. является академиком-секретарем АН Грузии.

Л. К. Габуния — один из ведущих специалистов в области палеонтологии и стратиграфии третичного периода, автор 200 научных трудов (из них девять монографий), среди которых необходимо назвать исследования в области палеобиологии млекопитающих и биостратиграфии континентального кайнозоя. К этим исследованиям относятся монография о гиппарионах Советского Союза, открытие и описание бенарской фауны олигоценовых млекопитающих, монографическое описание чокракских млекопитающих беломечетской фауны, вопросы биостратиграфической параллелизации и истории кайнозойской фауны млекопитающих Евразии. Необходимо особо отметить разработку таких теоретических вопросов эволюционного учения, как эволюционный прогресс, вымирание организмов и др.

Л. К. Габуния изучено наследие классиков теории эволюции, в частности, его перу принадлежат монографическое исследование жизни и научного наследия известного бельгийского эволюциониста Луи Долло, а также научно-популярные книги о следах динозавров Сатаплиа и бенарских ископаемых животных, гигантских даманах Квабети и тарибанских слонах и др. Л. К. Габуния ведет активную педагогическую деятельность.



Л. К. Габуния с 1979 г. является председателем Грузинского национального комитета международной долгосрочной программы ЮНЕСКО «Человек и биосфера» (МАБ), членом ряда всесоюзных и международных научных советов и организаций, почетным членом Международного териологического общества и членом-основателем Международного общества палеонтологии человека, членом редколлегии Грузинской энциклопедии и редколлегии ряда республиканских, всесоюзных и международных научных журналов, председателем редколлегии научно-популярной серии АН Грузии «Атинати», председателем экологической комиссии Общества Руставели.





საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს მალხაზ მიხეილის ძე ზაალიშვილს 70 წელი შეუსრულდა.

Академику Академии наук Грузинской ССР Малхазу Михайловичу Заалишвили исполнилось 70 лет.

მ. ზაალიშვილი დაიბადა 1920 წლის 27 სექტემბერს, ქ. მცხეთაში. 1941 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტი. აქვე გაიარა ასპირანტურის კურსი. ასპირანტურაში სწავლის დროს მივლინებულ იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ა. ბახინის სახ. ბიოქიმიის ინსტიტუტში, სადაც შეასრულა საკანდიდატო ნაშრომი აკად. ვ. ენგელგარდტის ხელმძღვანელობით, 1949 წელს დაიცვა საკანდიდატო. ხოლო 1972 წელს — სადოქტორო დისერტაცია, 1974 წელს მიენიჭა პროფესორის წოდება. 1979 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 1988 წელს — ნამდვილ წევრად.

მ. ზაალიშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა გორის პედაგოგიურ ინსტიტუტში, სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 1957—1986 წწ. მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ბიოფიზიკის ლაბორატორიის (შემდგომში — სექტორის) გამგედ. 1986 წელს ამ სექტორის ბაზაზე მისი თაოსნობით შეიქმნა მოლეკულური ბიოლოგიის ინსტიტუტი, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

1988 წელს მ. ზაალიშვილი არჩეულ იქნა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივნად.

მ. ზაალიშვილს ეკუთვნის 180-ზე მეტი ნაშრომი, რომლებიც კუნთის შემკუმშვის ბიოფიზიკასა და ბიოქიმიას ეძღვნება. მ. ზაალიშვილმა აღმოაჩინა კუნთში აქამდე უცნობი ცილა, რომლის შესწავლამ შეცვალა შეხედულებები კუნთში ძირეული ბიოქიმიური პროცესების მიმდინარეობაზე; მანვე დაამუშავა მაკრომოლეკულების ფიზიკურ-ქიმიური და თერმოდინამიკური პარამეტრების შესწავლის მეთოდები, დაადგინა მრავალი მნიშვნელოვანი მაღალმოლეკულური ნერთის ზომები, ფორმა და სითბური დენატურაციის პარამეტრები. ბოლო დროს მ. ზაალიშვილი და მისი თანამშრომლები მუშაობენ ამინომჟავების საფუძველზე სრულიად ახალი ტიპის პოლიმერების (ბუნებრივი ცილების ხელოვნური ანალოგები) ქიმიურ სინთეზზე. მათ დაამუშავეს პეტეროფაქტური პოლიმერების სინთეზის „აქტივირებული პოლიკონდენსაციის“ ახალი მეთოდი.

მ. ზაალიშვილი ეწევა ხანგრძლივ ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას. 1956 წლიდან კითხულობს ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. აქ მან შეადგინა საქართველოში პირველი კურსი ბიოფიზიკაში, ხოლო 1962 წელს



უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტზე დააარსა ბიოფიზიკის სპეციალბა. ჩამოაყალიბა მაკრომოლეკულების ფიზიკის კათედრა.

მ. ზალიშვილი არის სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო საბჭოს „ბიოლოგიური სისტემების ფუნქციონირების ფიზიკური პრინციპები“ ბიოლოგიური ძვრადობის სექციის თავმჯდომარე, ფიზიკურ-ქიმიური ბიოლოგიისა და ბიოტექნოლოგიის პრობლემათა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე. არის რიგი ჟურნალის რედკოლეგიის წევრი, მრავალი საკავშირო და რესპუბლიკური სამეცნიერო, თუ ხარისხის მიმნიჭებელი საბჭოს წევრი.

М. М. Заалишвили родился 27 сентября 1920 г. в г. Мцхета. В 1941 г. окончил химический факультет Тбилисского государственного университета. Здесь же прошел курс аспирантуры. В период учебы в аспирантуре был командирован в Институт биохимии им. А. Н. Баха АН СССР, где им была выполнена кандидатская диссертация под руководством акад. В. А. Энгельгардта. В 1949 г. защитил кандидатскую, а в 1972 г. — докторскую диссертацию, в 1974 г. ему было присвоено звание профессора. В 1979 г. он был избран членом-корреспондентом, а в 1988 г. — действительным членом АН ГССР.

М. М. Заалишвили в разное время работал в Горийском педагогическом институте, в НИИ санитарии и гигиены. В 1957—1986 гг. работал в Институте физиологии им. И. С. Бериташвили АН ГССР заведующим лабораторией (впоследствии сектором) биофизики. В 1986 г. по инициативе М. М. Заалишвили на базе этого сектора был создан Институт молекулярной биологии и биологической физики, которым он ныне руководит.

В 1988 г. М. М. Заалишвили был избран академиком-секретарем отделения биологии АН ГССР.

М. М. Заалишвили является автором более 180 научных трудов, посвященных в основном биофизике и биохимии мышечного сокращения. Им обнаружен неизвестный белок в мышце, изучение которого изменило взгляды на протекание основных биохимических процессов в мышце. Им разработаны методы изучения физико-химических параметров макромолекул, установлены размеры, форма и параметры тепловой денатурации многих важных высокомолекулярных соединений. В последнее время М. М. Заалишвили с сотрудниками работает над химическим синтезом полимеров нового типа (искусственные аналоги природных белков) на основе аминокислот. Ими разработан новый метод «активированной поликонденсации» гетероцепных полимеров.

М. М. Заалишвили ведет продолжительную плодотворную педагогическую работу. С 1956 г. читает лекции в Тбилисском государственном университете. Здесь им составлен первый в Грузии курс по биофизике, а в 1962 г. на физическом факультете университета основана специальность «Биофизика», организована кафедра физики макромолекул.

М. М. Заалишвили является председателем секции биологической подвижности научного совета «Физические принципы функционирования биологических систем АН СССР», председателем научного совета по физико-химической биологии и биотехнологии АН ГССР, членом редколлегии ряда научных журналов, многих всесоюзных и республиканских научных и специализированных советов.



627/30



3360 I 835. 90 333.
ЦЕНА 1 РУБ. 90 КОП.

ИНДЕКС 76181